გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№42 (1732) 11 — 17 დეკემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

დიდი კრიმინალური გარჩევები ქართულ სამოდელო ბიზნესში

ვინ დაჭრა მოდელი და რატომ ფიგურირებს საქმეში ცნობილი ბიზნესმენი

ვინ არის 300 ხმოსანი, რომელიც 14 დეკემბერს ახალ პრეზიდენტს აირჩევს

ყველაფერი პრეზიდენტის არჩევნების ახალ წესზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ასადების სისხლიანი ოჯახის აღზევება და დაცემა

როგორ იქცა ექიმი ჯალათად და დიქტატორად

რა ელის ლარს

ნათია თურნავა: „ბოლო ოცი თვის განმავლობაში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია“

პოლიციამ ბათუმში მომხდარი განზრახ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმე სამინისტროს აჭარის პოლიციისა და შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დააკავეს.

დაკავებულები არიან 1986 წელს დაბადებული ი.ჯ და 1985 წელს დაბადებული ბ. თ.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 7 დეკემბერს, ბათუმში, შურისძიების მოტივით, დროებით საცხოვრებელ სახლში, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჭრილობები მიაყენეს უცხო ქვეყნის ოთხ მოქალაქეს: 2000 წელს დაბადებულ ფ.თ.-ს, 1997 წელს დაბადებულ ვ.დ.-ს, 2004 წელს დაბადებულ ჩ.ჩ.-სა და 2005 წელს დაბადებულ ა.ს.– ს., რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მიღებული ჭრილობების შედეგად, სამი პირი ადგილზე, ხოლო ერთ-ერთი მოგვიანებით, სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებულები თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალური მაგისტრალის შიდა ქართლის მონაკვეთზე, ავტომობილით გადაადგილებისას შეაჩერეს და ბრალდებულის სახით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს სამი ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და მჭიდი. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ და „ლ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტზე ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბათუმში ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძელზე, ხუთი პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 1978 წელს დაბადებული მ.ჯ., 2004 წელს დაბადებული გ.მ., 2003 წელს დაბადებული დ.გ., 2002 წელს დაბადებული გ.დ. და 2004 წელს დაბადებული ა.კ.

დანაშაული ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 3 დეკემბერს, ბათუმში გამართული საპროტესტო აქციის ფარგლებში, აქციის მონაწილეთა ჯგუფი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში შევიდა რექტორის სამუშაო ოთახთან ბანერის გაკვრის მიზნით, აღნიშნულის საშუალება არ მისცა ამავე უნივერსიტეტის ლექტორმა, 1981 წელს დაბადებულმა თ.ც.-მ. რის გამოც, ამავე უნივერსიტეტის დეკანმა – 1978 წელს დაბადებულმა მ.ჯ.-მ, თ.ც.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიებით ასევე, დადგინდა, რომ 1978 წელს დაბადებული მ.ჯ. და მისი სტუდენტები, მოგვიანებით, თ.ც.-ს მეუღლეს – 1975 წელს დაბადებულ ი.დ.-ს და მის მეგობარს – 1977 წელს დაბადებულ ი.ნ.-ს უნივერსიტეტის შენობაში ფიზიკურად გაუსწორდნენ.

პოლიციამ ბრალდებულები მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით მიმდინარეობს.

პოლიციამ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე სამი პირი დააკავეს.

ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის ბრალდებით დაკავებულია 2004 წელს დაბადებული ლ.ჯ., ხოლო 1971 წელს დაბადებულ გ.ტ.-ს და 1998 წელს დაბადებულ რ.კ.-ს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა ედებათ ბრალად.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარე აქციების დროს, ჯგუფურად ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს, წინააღმდეგობას უწევდნენ და არ ემორჩილებოდნენ ადგილზე მართლწესრიგის დაცვის მიზნით მყოფ სამართალდამცველებს და მათი მიმართულებით სხვადასხვა საგანს ისროდნენ.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225 -ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

რუსთაველის გამზირზე, აქციების მიმდინარეობისას, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის, ან მასში მონაწილეობის, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების, ასევე, აფეთქების მომზადების, პოლიციაზე თავდასხმისა და ნივთის დაზიანების ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე, 239-ე პრიმა, 187-ე, 353-ე პრიმა და 18-229-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, გამოძიების ფარგლებში, ამ დროისთვის დაკავებულია 26 პირი.

პოლიტიკა

ვინ არის 300 ხმოსანი, რომელიც 14 დეკემბერს ახალ პრეზიდენტს აირჩევს

რამდენიმე დღეში, კერძოდ, 14 დეკემბერს, „ოცნება“ ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ეს იქნება პირველი არჩევნები, როდესაც პრეზიდენტს არაპირდაპირი წესით, 300 ხმოსანი ანუ საარჩევნო კოლეგია აირჩევს. საარჩევნო კოლეგიაში 150 ადგილი პარლამენტის ყველა წევრისთვისაა გათვალისწინებული, დანარჩენი 150 წევრი კი ნაწილდება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებზე. იქიდან გამომდინარე, რომ ოპოზიციური პარტიები პარლამენტში არ შედიან, პარლამენტარებისთვის გათვალისწინებული 150 წევრისგან, მხოლოდ 88 დაკომპლექტდება.

300 კაცისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგიის დაკომპლექტების წესს კანონი ასე განსაზღვრავს:

1. პოლიტიკური პარტიები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან საარჩევნო კოლეგიის წევრებს ასახელებენ მათთვის განკუთვნილი კვოტების შესაბამისად.

2. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად, კვოტები განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით: P = A * B / C, სადაც:

ა) P არის უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიისათვის განსაზღვრული კვოტის ოდენობა, რომელიც მიღებული მთელი რიცხვია;

ბ) A არის იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ოდენობა, რომელმაც ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად, ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღო;

გ) B არის საარჩევნო კოლეგიის სრულ შემადგენლობას გამოკლებული საქართველოს პარლამენტის ყველა წევრისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრის ჯამი;

დ) C არის ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე იმ პარტიების ნამდვილი ხმების რაოდენობათა ჯამი, რომლებმაც ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღეს.

4. თუ უფლებამოსილი პარტიების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით მისაღებ კვოტათა ჯამი B-ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში, გადაუნაწილებელი კვოტები მიეკუთვნებათ უფლებამოსილ პარტიებს, მათი საარჩევნო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით.

5. პარტიამ, მისთვის განკუთვნილი კვოტის შესაბამისად, საარჩევნო კოლეგიის წევრები უნდა წარადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის და სახელმწიფო რწმუნებულის სამოქმედო ტერიტორიაზე არჩეული საკრებულოებიდან, პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.

6. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის დღიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, ცესკო განკარგულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევის ღონისძიებათა განხორციელების გრაფიკს (ვადებს) და ამ მუხლით განსაზღვრულ კვოტებს არჩევნების დანიშვნის დღისთვის არსებული მდგომარეობით.

7. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას, განკარგულებით ამტკიცებს ცესკო, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა.

8. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობის დასამტკიცებლად:

ა) საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წა-

დასასრული მე-3 გვერდზე

ვინ არის 300 ხმოსანი, რომელიც 14 დეკემბერს ახალ პრეზიდენტს აირჩევს

მე-2 გვერდიდან

ყველაფერი პრეზიდენტის არჩევნების ახალ წესზე

რმომადგენლობითი ორგანოები, ვალდებულნი არიან არჩევნების დანიშვნის დღიდან 7 დღის ვადაში, ცესკო-ს წარუდგინონ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრის სახელი, გვარი და პირადი ნომერი; ბ) ამ კანონის შესაბამისად, უფლებამოსილი პარტიები ვალდებულნი არიან, ცესკო-ს მიერ განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, არჩევნების დანიშვნის დღიდან 10 დღის ვადაში, წარმოადგინონ საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი და იმ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს დასახელება, რომლის წევრიცაა აღნიშნული პირი, აგრეთვე წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა; გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი პირი საარჩევნო კოლეგიის წევრად არ ჩაითვლება, თუ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, რის შესახებაც პარტიას 2 დღის ვადაში ეცნობება ხარვეზის მითითებით და ეძლევა 3 დღის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად; დ) უფლებამოსილ პარტიას უფლება აქვს, შეცვალოს საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი კოლეგიის წევრი მხოლოდ ამ პირის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ე) საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის საარჩევნო კოლეგიაში დასახელების შემდეგ, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრა შეუძლებელია ან თუ უფლებამოსილმა პარტიამ ამ კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიყენა ან დადგენილ კვოტაზე ნაკლები ოდენობით წარადგინა საარჩევნო კოლეგიის წევრები, ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობის 300-მდე შესავსებად, ცესკო-ს გადაწყვეტილებით დადგენილი კვოტები შეიცვლება და გამოუყენებელი ადგილები გადანაწილდება სხვა უფლებამოსილ პარტიებზე საარჩევნო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით.

არჩევნების დღე:

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება საქართველოს პარლამენტის სასახლეში, არჩევნების დღის 9 საათიდან და სრულდება იმავე დღის 14 საათზე, ან ნებისმიერ დროს, თუ საარჩევნო კოლეგიის ყველა წევრმა მისცა ხმა. 2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის წევრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოწვეულ პირებს, ცესკოს წევრებს, საქართველოს პარლამენტისა და ცესკოს აპარატის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს. საქართველოს პრეზიდენტის არჩევა პირდაპირ გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. 3. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის, საარჩევნო ბიულეტენში მიეთითება საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სახელი და გვარი. საარჩევნო ბიულეტენის ტექსტსა და ფორმას განკარგულებით ადგენს ცესკო. 4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისათვის, ცესკო ბეჭდავს საარჩევნო ბიულეტენებს და მათ საარჩევნო კოლეგიის წევრებს გადასცემს, ბეჭდავს საარჩევნო კოლეგიის წევრთა სიას, ლუქავს და ხსნის საარჩევნო ყუთს, ითვლის ხმებს და ადგენს შედეგების შემაჯამებელ ოქმს. 5. საარჩევნო კოლეგიის წევრები, საარჩევნო კოლეგიის წევრთა სიაში, საკუთარი ხელმოწერებით ადასტურებენ საარჩევნო ბიულეტენის მიღებას, რის შემდეგაც შემოხაზავენ მათთვის სასურველ მხოლოდ 1 კანდიდატს და საარჩევნო ბიულეტენს წინასწარ დალუქულ, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში ათავსებენ. 6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა, თუ: ა) ის დაუდგენელი ნიმუშისაა; ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა საარჩევნო კოლეგიის წევრმა; გ) საარჩევნო კოლეგიის წევრმა ხმა ერთზე მეტ კანდიდატს მისცა; დ) შეუძლებელია იმის დადგენა, თუ საარჩევნო კოლეგიის რომელი წევრის მიერ არის ხმა მიცემული. 7. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც. 8. თუ არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იმავე დღეს ან პირველი ტურის გამართვიდან არაუგვიანეს 7 დღისა, ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს. 9. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ საუკეთესო შედეგი ორზე მეტ კანდიდატს აქვს, მეორე ტურში მონაწილეთა ვინაობა ვლინდება იმის მიხედვით, თუ ერთნაირი შედეგის მქონე კანდიდატთაგან რომელი უფრო ადრე დარეგისტრირდა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად. 10. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. 11. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. 12. თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. 13. საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების თარიღს შესაბამისი გარემოების დადგომიდან 3 დღის ვადაში, ნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. 14. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. 15. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში, ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. 16. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნების ერთდროულად ან წინა თვეში გამართვის შემთხვევაში, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნებისა და რიგგარეშე არჩევნების გამართვისას, არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამართვისათვის, ამ კანონით დადგენილი წესით. საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნებისა და რიგგარეშე არჩევნების დროს, საარჩევნო პროცედურები საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამართვისათვის, ამ კანონით დადგენილი ვადების ნაცვლად, ხორციელდება არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, ცესკო-ს განკარგულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

ცესკო-ს მიერ არჩევნების შეჯამება

1. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს ცესკო არჩევნების დასრულებისთანავე, ცესკო-ს სხდომაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმართება.

2. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობა; ბ) არჩევნებში მონაწილე საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობა; გ) არჩევნებში მონაწილე საარჩევნო კოლეგიის წევრთა სახელები და გვარები; დ) არჩევნებში მონაწილე თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა; ე) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საარჩევნო კოლეგიის რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს მისცა ხმა ვ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა; ზ) მეორე ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა ან/და პირველი ან მეორე ტურის შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის ვინაობა.

3. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ ცესკო-ს თავმჯდომარე და მდივანი. აღნიშნული ოქმი შეიძლება გაასაჩივროს/გაასაჩივრონ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის შესაბამისმა წევრმა/წევრებმა ან/და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ამ კანონის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

4. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებელ დოკუმენტაციას ცესკო ლუქავს და ინახავს ცესკო-ში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, მეორე – საქართველოს პარლამენტს, ხოლო მესამე ინახება ცესკო-ში.

6. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში, ცესკო თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ცნობას საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შესახებ.

7. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ასარჩევად შემდგარ საარჩევნო კოლეგიას უფლებამოსილება უწყდება.

32 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტი – პარლამენტში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის განხილვა დაიწყო

მაკა რუხაძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. კომიტეტის თავმჯდომარის, პაატა კვიჟინაძის განცხადებით, ეკონომიკური ზრდა საშუალებას იძლევა, რომ ყველა მიმართულებით გაიზარდოს ბიუჯეტი. „საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ, ბიუჯეტის პროექტის წინა განხილვისას წარმოდგენილი 24 შენიშვნიდან, ორის გარდა, ყველა გათვალისწინებულია. ამ ორი საკითხის თაობაზე ვაგრძელებთ მუშაობას“, – განაცხადა პაატა კვიჟინაძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტზე იმსჯელა. შესაბამისად, უკვე ცნობილია, რომ მომდევნო წლის 1 იანვრიდან, პენსია იზრდება 350 ლარამდე, საჯარო სკოლების ადმინისტრაციისა და ტექნიკურ თანამშრომელთა, ასევე პოლიციელთა ხელფასებიც.

მომავალი წლის იანვრიდან იზრდება პენსია, სკოლების ადმინისტრაციის თანამშრომელთა და პოლიციელთა ხელფასი

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

სახელმწიფო ბიუჯეტი საკომიტეტო მოსმენაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ წარადგინა. მისი განმარტებით, 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, ჯამურად, 32.4 მილიარდ ლარს შეადგენს, რომლის ფარგლებშიც, სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

მისივე თქმით, ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაზრდილია 1.2 მილიარდი ლარით და გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში, აისახა იმ მიმართულებების დამატებითი დაფინანსება, რაც გაწერილია სამთავრობო პროგრამაში – „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით, ევროპისკენ“.

გიორგი კაკაურიძის განცხადებით, ნაერთი ბიუჯეტის პრივატიზაციის საპროგნოზო მაჩვენებელი 500.0 მილიონი ლარია. 2025 წლის განახლებული პროგნოზით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 25 305.0 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2024 წლის თავდაპირველ გეგმას აღემატება 3 252.0 მილიონი ლარით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 8 820.0 მილიონი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 990.9 მილიონი ლარით.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 085.0 მილიონი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ასიგნებას აღემატება 577.0 მილიონი ლარით.

კულტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 297.6 მილიონი ლარით, ხოლო სპორტის სამინისტროს დაფინანსება – 298.4 მილიონი ლარით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 125.0 მილიონი ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია – 2 405.8 მილიონი ლარი, გრანტებში – 18.5 მილიონი ლარი, ხოლო კრედიტების ნაწილში – 700.8 მილიონი ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 808.1 მილიონ ლარს; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია – 947.0 მილიონი ლარი, რაც 146.0 მილიონი ლარით აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 121.0 მილიონ ლარს; იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია – 442.0 მილიონი ლარი; საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის – 215.0 მილიონი ლარი; თავდაცვის სამინისტროსთვის – 1 730.0 მილიონი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 350.0 მილიონი ლარით აღემატება.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 395.0 მილიონი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 135.0 მილიონი ლარით აღემატება, აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 10%-იანი ზრდა.

ცალკეული სახელმწიფო პროგრამები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის; ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების მაგალითებზე, ვნახოთ, კონკრეტულად რა პროგრამები დაფინანსდება 2025 წელს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 8 820.0 მილიონი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 990.9 მილიონი ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით, იზრდება 120.0 მილიონი ლარით.

ამ ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია: მოსახლეობის სოციალური დაცვა – 6 353.5 მილიონი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 718.0 მილიონი ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 92.0 მილიონი ლარით.

კერძოდ: საპენსიო უზრუნველყოფა – 4 498 მილიონი ლარი (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გაზრდილია 568.0 მილიონი ლარით, ხოლო ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით – 78.0 მილიონი ლარით), რაც გამოწვეულია, მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით.

„ამ კანონის მიხედვით, 70 წლამდე პირთა პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სექტემბერში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაცია შეადგენს 0.9%-ს. აღნიშნული მაჩვენებლით პენსიის ზრდა 20 ლარზე ნაკლებია, რისი გათვალისწინებითაც კანონის შესაბამისად განსაზღვრულია პენსიის ზრდა არანაკლებ 20 ლარის ოდენობით. ამასთან, წინა წარდგენისგან განსხვავებით, სამთავრობო პროგრამის შესაბამისად 70 წლამდე ასაკის პირთა პენსიაც იზრდება 35 ლარით და 2025 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 350 ლარით.

ამავე კანონის მიხედვით, 70 წლის და მეტი ასაკის პირთათვის პენსია უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის და ბოლო 6 კვარტლის მთიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდის მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის 80%-ის ჯამით. აღნიშნული მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული შეადგენს 8.3%-ს, ხოლო მისი 80% – 6.7%-ს. შესაბამისად, პენსიის მოცულობა უნდა გაიზარდოს 0.9% + 6.7% = 7.6%-ით. აღნიშნული ფორმულით პენსიის ზრდა შეადგენს 31.5 ლარს. კანონის შესაბამისად, ხორციელდება აღნიშნული თანხის დამრგვალება და პენსიის ზრდა განსაზღვრულია 35 ლარით, რისი გათვალსწინებითაც 70 წლის ზევით ასაკის მქონე პირის სახელმწიფო პენსიის ოდენობა 2025 წლის 1 იანვრიდან განისაზღვრება 450 ლარის ოდენობით“, – ვკითხულობთ სახელმწიფო ბიუჯეტის განმარტებით ბარათში.

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20 პროცენტიანი დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 420 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 540 ლარი.

პენსიის ზრდის შესაბამისად, იზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციის ოდენობები, რომელთა დაანგარიშება დაკავშირებულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის 1 იანვრიდან: სახელმწიფო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ზედა ზღვრის ოდენობა განისაზღვრება 1 035 ლარით; ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო, კომპენსაციის მიმღებ პირებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის ზედა ზღვრის ოდენობა განისაზღვროს 1 235 ლარით.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება – 1 638.9 მილიონი ლარი (გაზრდილია 119.9 მილიონი ლარით); აღნიშნული თანხის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების,

დასასრული მე-5 გვერდზე

32 მილიარდ 400 მილიონ ლარზე მეტი – პარლამენტში 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის განხილვა დაიწყო

მე-4 გვერდიდან

ასევე დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით; ამასთან, გათვალისწინებულია 120 000 სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების, 16 წლამდე ბავშვების ყოველთვიური 200-ლარიანი დახმარების დაფინანსება; სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში – 113.0 მილიონი ლარი.

პენსიის ზრდის შესაბამისად, იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც; სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 18.7 მილიონი ლარით და შეადგენს 95.0 მილიონ ლარს. საკომიტეტო განხილვების დროს გამოთქმული წინადადებების შესაბამისად, პროექტის პირველად ვერსიასთან შედარებით პროგრამის დაფინანსება დამატებით გაზრდილია 6.5 მილიონი ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა – 1 859.0 მილიონი ლარი, მათ შორის, საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 1 220.0 მილიონ ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, 185.0 მილიონი ლარით იზრდება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების ზრდა; სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა – 100.0 მილიონი ლარი; დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა – 112.5 მილიონი ლარი, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 103.3 მილიონი ლარი; იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა – 268.0 მილიონი ლარი.

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 085.0 მილიონი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ასიგნებას აღემატება 577.0 მილიონი ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით, იზრდება 200.0 მილიონი ლარით. თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე: სკოლამდელი და ზოგადი განათლება – 1 903.7 მილიონი ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით, გაზრდილია 328.7 მილიონი ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით – 95.5 მილიონი ლარით.

„აღნიშნული თანხის ფარგლებში, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან, საჯარო სკოლების მასწავლებელთა გაზრდილი ანაზღაურების სრული წლით დაფინანსება. ამავე პროგრამის ფარგლებში, 75.0 მილიონი ლარია გათვალისწინებულია საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვისათვის. ასევე, გათვალისწინებულია მანდატურებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ– ტექნიკური პერსონალის ხელფასების ზრდა; პროფესიული განათლება – 149.0 მილიონი ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 5.0 მილიონი ლარით); უმაღლესი განათლება – 171.3 მილიონი ლარი; მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 86.1 მილიონი ლარი; ინკლუზიური განათლება – 82.3 მილიონი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 538.1 მილიონი ლარი“.

კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 467.7 მილიონ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გამოყოფილია 600.0 მილიონ ლარზე მეტი); პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 66.0 მილიონი ლარი (მათ შორის, გათვალისწინებულია „პროფესიული განათლება I (KFW) პროგრამისა და თანამედროვე უნარების უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB) ფარგლებში განსაზღვრული სახსრები); უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება – 30.0 მილიონი ლარი. ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 13.8 მილიონი ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 808.1 მილიონ ლარს, რაც წინა წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 63.1 მილიონი ლარით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია: სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა – 72.3 მილიონი ლარი; მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება – 81.2 მილიონი ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 25.0 მილიონი ლარით).

ერთიანი აგროპროექტი – 350.9 მილიონი ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 25.0 მილიონი ლარით), მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტები – 210.0 მილიონი ლარი; აგროდაზღვევა – 15.0 მილიონი ლარი; დანერგე მომავალი – 26.0 მილიონი ლარი; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი – 13.0 მილიონი ლარი; აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა – 18.1 მილიონ ლარამდე; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი – 10.0 მილიონი ლარი; თხილის წარმოების ხელშეწყობა – 23.0 მილიონი ლარი; სათბურების ხელშეწყობის პროექტი – 8.0 მილიონი ლარი; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია – 129.1 მილიონი ლარი; გარემოსდაცვითი ზედამხედველობა – 30.0 მილიონი ლარი; დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა – 27.7 მილიონი ლარი; სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა – 24.8 მილიონი ლარამდე; გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი – 33.6 მილიონი ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 11.8 მილიონი ლარით) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა – 8.0 მილიონ ლარამდე (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 1.0 მილიონი ლარით); მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა – 6.2 მილიონი ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 125.0 მილიონი ლარით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 2 405.8 მილიონი ლარი, გრანტებში – 18.5 მილიონი ლარი, ხოლო კრედიტების ნაწილში – 700.8 მილიონი ლარი. ძირითადი პროგრამების მიხედვით, ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით: საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები – 1 592.6 მილიონი ლარი, მათ შორის, ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე გათვალისწინებულია – 905.0 მილიონი ლარი; რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია – 227.8 მილიონი ლარი; წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია – 503.2 მილიონი ლარი; მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა – 75.0 მილიონი ლარი; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია – 366.0 მილიონი ლარი; ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები – 150.0 მილიონი ლარი; სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებები – 200.0 მილიონი ლარი (აღნიშნული პროგრამა გათვალისწინებულია სამთავრობო პროგრამის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია ახალი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის დაწყება თბილისში).

მაკა რუხაძე

რა ელის ლარს

ნათია თურნავა: „ბოლო ოცი თვის განმავლობაში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია“

„ქვეყანა აგრძელებს მშვიდად განვითარებას. ხედავთ, რომ ლარის კურსი უკვე ჩამოვიდა ქვევით, იყო მცირე, მოკლევადიანი რყევები, რაც „მაიდნის“ მოწყობის წინა სამი მცდელობის პირობებშიც სახეზე იყო, თუმცა მაშინაც ძალიან მალე დავასტაბილურეთ ლარის კურსი. ახლაც გრძელდება ლარის დასტაბილურება და ყოველდღიურად, დადებითი დინამიკა არის სახეზე. მადლობა ეროვნულ ბანკს სწორი რეაგირებისათვის, რა თქმა უნდა, ვითარების დამშვიდება დამატებით ხელს შეუწყობს იმას, რომ კურსი დასტაბილურდეს და საბოლოო ჯამში, ორ-სამ დღეში, დაუბრუნდება იმ ნიშნულს, რა ნიშნულიდანაც დაიწყო კურსის გაუფასურება რამდენიმე დღის განმავლობაში“, – ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე ლარის კურსის 13 თეთრით გაუფასურებას 28 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე პერიოდში.

რა მოხდა სინამდვილეში და რატომ გაუფასურდა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში. 28 ნოემბერს, მას შემდეგ რაც „ქართულმა ოცნებამ“ ევროკავშირში მოლაპარაკებების პროცესის 2028 წლამდე შეჩერების შესახებ განაცხადა, დედაქალაქსა და ქვეყნის მასშტაბით, რამდენიმე მსხვილ ქალაქში საპროტესტო ტალღა აგორდა, ეროვნული ვალუტის კურსმა კი გაუფასურება დაიწყო. თუ 28 ნოემბერს, 1 აშშ დოლარი 2.74 ლარი ღირდა, 4 დეკემბერს, საპროტესტო აქციების კვალდაკვალ, გაცვლითი კურსი 2.87 ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში, ლარი დოლართან მიმართებით, 13 თეთრით გაუფასურდა.

4 დეკემბრიდან, ეროვნული ვალუტა გამყარების ტრენდს აჩვენებს – ამჟამად, 1 აშშ დოლარი 2.79 ლარი ღირს, რაც ნიშნავს, რომ 28 ნოემბრის კურსთან შედარებით, ლარი მხოლოდ 5 თეთრითაა გაუფასურებული.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, ეკონომიკა მუშაობს და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება.

„გრძელდება ევროინტეგრაციის პროცესიც, საქმე შანტაჟის ნაცვლად, ეს არის ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. სამართლიანობა არის მთავარი, იმისთვის, რომ სწორად გაგრძელდეს ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის -გახსნან მოლაპარაკებები, დღესვე ვაწერ ხელს. ეს არის ძალიან მკაფიო გზავნილი ჩვენი მხრიდან. ასევე, ძალიან მკაფიოდ შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ოთხი წლის თავზე, ჩვენი ვალდებულებების 90%-ზე მეტი გვექნება შესრულებული, საუბარია ასოცირების შეთანხმებიდან და DCFTA-დან გამომდინარე ვალდებულებებზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ სრულად ვიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ გაკეთდება ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის გასაგრძელებლად“.

კობახიძის განცხადებით, ქვეყანამ ღირსებით შეინარჩუნა მშვიდობა. ღირსებით, ამ ოთხი წლის განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკა 40 მილიარდით გაიზარდა, რის გამოც, საქართველო, ამ ოთხწლიან პერიოდში, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, პირველ ადგილზეა არა მარტო რეგიონში, არამედ, ევროპის მასშტაბითაც.

„ჩვენ ღირსებით და ჯიუტი ბრძოლით მივიღეთ კანდიდატის სტატუსი ჩვენი ქვეყნისთვის. ეს არის ჩვენი საქმიანობის ოთხწლიანი შედეგები. სადაც აჩვენებ ღირსებას, იქ მიიღებ აუცილებლად ღირსეულ პასუხს, სადაც მოადუნებ ბრძოლას, არ აჩვენებ სათანადო ღირსებას, იქ პასუხიც იქნება შესაბამისი. ჩვენ ასეთივე ღირსებით განვაგრძობთ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე. ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ მომავალი წლის 20 იანვრიდან, მიდგომები თვისობრივად შეიცვლება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ევროკავშირის მხრიდან და ბევრად უფრო მეტად სამართლიანი იქნება დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების მიმართ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტად დაგვეხმარება ჩვენი ეროვნული მიზნების მიღწევაში“, – დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნათია თურნავამ, 2025-2027 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების წარდგენისას განაცხადა, რომ ბოლო ოცი თვის განმავლობაში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია.

„ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ქვეყნისთვის ინფლაციის ოპტიმალური დონეა, განვითარების ამ ეტაპზე, 3%-ს შეადგენს. ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომელიც მოიაზრებს ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრას, ხოლო მონეტარული პოლიტიკის იმგვარად წარმართვას, რომ საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს იყოს.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის თანმიმდევრულმა ცვლილებამ, როგორც გამკაცრების, ისე ნორმალიზების თვალსაზრისით, ასევე – არსებული მონეტარული პოლიტიკის ჩარჩოს პირობებში ეკონომიკაზე გადაცემის სიძლიერემ, საქართველოში ფასების სტაბილურობა წარმატებით უზრუნველჰყო. მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში ძლიერი საგარეო ეკონომიკური შოკებისა, საქართველოში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი ნარჩუნდება. 2023 წლის დასაწყისიდან, ინფლაციამ შემცირება დაიწყო და მას შემდეგ, ოცი თვის განმავლობაში, მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია. 2024 წლის ნოემბერში, ინფლაციამ 1.3% შეადგინა“, – აღნიშნა ნათია თურნავამ.

მისი თქმით, ინფლაციის შემცირების ფონზე, 2023 წლის მაისიდან, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება დაიწყო. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ჯამურად, 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით 8.0%-ს შეადგენს.

„მიმდინარე საბაზო მაკროეკონომიკური პროგნოზით, 2024 წელს, ინფლაცია საშუალოდ 1.2%-ის ფარგლებში იქნება, საშუალოვადიან პერიოდში კი მიზნობრივი მაჩვენებლის გარშემო დასტაბილურდება“.

შეგახსენებთ, რომ „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ ყოველწლიურად მუშავდება საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ, შემდეგი სამი წლისთვის და დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს. „მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში“ მოცემულია ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარებისას იყენებს.

ასადების სისხლიანი ოჯახის აღზევება და დაცემა

მოამზადა ნინო დოლიძემ

როგორ იქცა ექიმი ჯალათად და დიქტატორად

ის, რომ მარადიული არაფერია, სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ნათელჰყო ანუ 27 ნოემბერს, ოპოზიციური შეიარაღებული დაჯგუფებების წევრებმა, ალეპოსა და იდლიბის პროვინციებში, სამთავრობო პოზიციებზე ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყეს. 7 დეკემბრის საღამოსთვის, ასადის მოწინააღმდეგეებმა რამდენიმე დიდი ქალაქი – ალეპო, დეირ ეზ-ზორი, დარა, ჰამა და ჰომსი აიღეს. დილით კი დამასკოში შევიდნენ, რის შემდეგაც არმიის ნაწილებმა ქალაქი დატოვეს. შესაბამისად, სირიის ყოფილი პრეზიდენტი, ბაშარ ასადი იძულებული გახდა, ქვეყნიდან ოჯახთან ერთად გაქცეულიყო. არსებული ინფორმაციით, მას თავშესაფარი ოფიციალურმა მოსკოვმა მისცა. სხვათა შორის, ასადმა სირია ისე დატოვა, რომ თან გარემოცვის ერთი წევრიც კი არ წაუყვანია... მოკლედ, ასადების ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის დიქტატურა სირიაში, სულ რაღაც, 10 დღეში დასრულდა. და ეს „დასრულება“ ყველაზე მეტად, ალბათ, პუტინს ემცხეთა, ემცხეთა იმიტომ, რომ ასადის რეჟიმი რუსეთის დიქტატურისთვის ერთგვარი დასაყრდენი იყო, მაგრამ ახლა? ახლა ნათელია, რომ პუტინი არცთუ უძლეველია და მისი გავლენების ქვეშ მყოფი დიქტატორის „გაიმასქნებაც“ შესაძლებელია... და მაინც, ვინ არის ბაშარ ალ-ასადი და საერთოდ, როგორ იქცა სირია ასადების სამფლობელოდ? – „ვერსია“, ონლაინ-მედიაზე დაყრდნობით, სირიული დიქტატურის მოკლე X-ფაილს გთავაზობთ.

* * *

როგორ აღმოჩნდნენ ახალგაზრდა ოფთალმოლოგი და მისი ბრიტანეთში დაბადებული ცოლი რეჟიმის სათავეში, რომელმაც ასიათასობით ადამიანი იმსხვერპლა? – ამ კითხვაზე პასუხი ბაშარ ასადის ოჯახის ისტორიაში უნდა ვეძებოთ, დინასტიაში, რომელიც სირიას 50 წელი რკინის ხელით მართავდა... ასადების დინასტიის დამფუძნებელად ჰაფეზ ასადი მიიჩნევა.

ზოგადად, ასადების ოჯახი ალავიტების სექტას განეკუთვნება, ალავიტები სირიის მოსახლეობის 11%-ს შეადგენენ. სირიის მოსახლეობის უმეტესობა ანუ დაახლოებით, 74% – სუნიტური ისლამის მიმდევარია, 12-13% კი – შიიტური ისლამის, რომელშიც შედის ალავიტების სექტაც, მოსახლეობის 2-3% დრუზები არიან, ხოლო ქრისტიანები მოსახლეობის 5%-ს შეადგენენ.

ჰაფეზ ასადი

ჰაფეზ ასადი სირიის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე სოფელ კარდაჰაში, ალი სულეიმან ასადის ოჯახში დაიბადა. ის სულეიმანის მეცხრე ვაჟი იყო. სხვა ალავიტების მსგავსად, ოჯახი ღარიბი გახლდათ და ძირითადად, მიწათმოქმედებით ირჩენდა თავს. სიღარიბის მიუხედავად, ჰაფეზ ასადის მამა ერთ-ერთ ყველაზე გავლინიან ალავიტად მიიჩნეოდა, ადგილობრივები მეტსახელად „ალ ასადს“ – ლომს ეძახდნენ. მანამდე ოჯახი ვაჰიშის გვარს ატარებდა, რაც ველურ მხეცს ნიშნავს. ალი სულეიმანმა გვარი, ალ ასადად, ოფიციალურად 1927 წელს გადაიკეთა. ჰაფეზ ასადი ოჯახიდან პირველი იყო, ვინც სასკოლო განათლება მიიღო. ცნობილია, რომ ჰაფეზ ასადი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო. ღარიბ, ძირითადად, ალავიტებით დასახლებულ რაიონში მცხოვრები ჰაფეზი მალევე დაუახლოვდა პარტიებს, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი უმცირესობის მიმართ. ლაპარაკია სირიის კომუნისტურ და სოციალისტურ-ნაციონალისტურ პარტია „ბაასზე“. მოგვიანებით, ჰაფეზი სირიის სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარე გახდა.

ცნობილია, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, ჰაფეზ ასადს სწავლის გაგრძელება ბეირუთში, ფრანც-იოსების უნივერსიტეტში სურდა. მას ექიმობა უნდოდა, თუმცა უსახსრობის გამო, ეს ვერ მოახერხა, ამიტომაც ჰაფეზი შევიდა ხომსის სამხედრო-საჰაერო აკადემიაში, რომელიც სტუდენტებს უფასო საცხოვრებელს და სტიპენდიას სთავაზობდა. სწორედ აქ გაიცნო ჰაფეზ ასადმა სირიის მომავალი თავდაცვის მინისტრი და თავისი უახლოესი მეგობარი მუსტაფა ტლასი. სწავლის პერიოდში, ჰაფეზ ასადი საუკეთესო პილოტადაც დასახელდა.

1958 წელს, ეგვიპტის იმდროინდელი პრეზიდენტის, გამალ აბდელ ნასერის ლიდერობით, შეიქმნა ეგვიპტისა და სირიის გაერთიანებული არაბული სახელმწიფო, რის შემდეგაც ყველა სირიული პარტია დაშლილად გამოცხადდა, ოფიცერთა კორპუსი კი ძალიან შემცირდა. ამ დროისთვის, ჰაფეზ ასადს უკვე კაპიტნის წოდება ჰქონდა მინიჭებული და ეგვიპტის ერთ-ერთ სამხედრო სასწავლებელში გადაიყვანეს, სადაც მისი თანაჯგუფელი ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი, ჰოსნი მუბარაქი იყო.

1960-იანი წლების დასაწყისში, პარტია „ბაასი“ მძიმე კრიზისს განიცდიდა... მალე ახალგაზრდებმა პარტიის გაცოცხლება სცადეს და დააარსეს პარტიის სამხედრო კომიტეტი, რომლის ლიდერებიც იყვნენ მუჰამად უმრანი, მომავალი პრეზიდენტი სალაჰ ჯადიდი და ჰაფეზ ასადი.

1957-1958 წლებში, სამხედრო კომიტეტი პრაქტიკულად სრულად აკონტროლებდა პარტიას, თუმცა 1961 წელს, სირია ეგვიპტესთან ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოვიდა. ეს კი ქვეყანაში ახალი წმენდის დაწყებას გულისხმობდა. ასადი და მისი თანამზრახველები არმიიდან დაითხოვეს. მომდევნო წელს „ბაასისტებმა“ წარუმატებელი აჯანყება წამოიწყეს, რომელშიც ასადი უმნიშვნელო როლს ასრულდებდა. ჰაფეზ ასადი ბეირუთში დააპატიმრეს, თუმცა მალევე დაბრუნდა სირიაში.

1963 წლის თებერვალში, „ბაასის“ ერაყულმა განყოფილებამ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალება მოაწყო და ძალაუფლება სრულად დაიქვემდებარა. ამით შთაგონებულმა სირიელმა ოფიცერებმა ახალი აჯანყება მოაწყეს, რომელიც 1963 წლის 8 მარტს, წარმატებით დასრულდა. გადატრიალებას მხარი დაუჭირა მიშელ აფლიაკმა, წამყვანი როლები კი შეასრულეს ჰაფეზ ასადმა და სალაჰ ჯადიდმა. სწორედ ჯადიდი გახდა ჰაფეზ ასადის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე გადატრიალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ... გადატრიალების შემდეგ, ასადი „ბაასის“ რეგიონული განყოფილების მმართველობის წევრად აირჩიეს, წლის მიწურულს კი უკვე სამხედრო საჰაერო ძალებს ხელმძღვანელობდა. ამ დროისთვის, ჰაფეზ ასადს უკვე გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა. 1966 წელს, ასადმა თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა, თუმცა მანამდე იყო გადატრიალების კიდევ ერთი მცდელობა, რის შედეგადაც პარტია ორად – პროსირიულ და პროერაყულ ფრაქციებად დაიყო.

1967 წელს, დაიწყო ყველაზე მნიშვნელოვანი არაბულ-ებრაული სამხედრო კონფლიქტი, რომელიც „ექვსდღიანი ომის“ სახელითაა ცნობილი. ომის შედეგად, ისრაელმა მოახდინა სირიაში მდებარე გოლანის მაღლობების ოკუპაცია. ჰაფეზ ასადსა და სალაჰ ჯადიდს შორის კონფლიქტი სწორედ ომში დამარცხების შემდეგ დაიწყო – ასადი დამარცხებაში ჯადიდს ადანაშაულებდა...

ასადების სირია

... ჰაფეზ ასადის ხელისუფლებაში მოსვლით, სირიაში სიმშვიდისა და განვითარების პერიოდი დაიწყო. ხელისუფლებაში მისი მოსვლისთანავე დაიწყო ქვეყნის რეფორმირების პროცესი, რაც მიზნად ისახავდა სირიის პოლიტიკური სისტემის ჰაფეზ ასადსა და მის ოჯახზე მორგებას. სირია, დღევანდელი ფორმით, პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების დაყოფის არსებული სისტემით, სწორედ ჰაფეზ ასადმა შექმნა.

ჰაფეზ ასადის ხელისუფლების სათავეში ყოფნის წლებში, სირიაში სოციალისტური ერთპარტიული სამხედრო დიქტატურა იყო, თუმცა ქვეყნის ეთნორელიგიური მოცემულობიდან გამომდინარე, არსებობდა ძალაუფლების დაყოფის საჭიროებაც. ასადს უწევდა სხვა სექტებისა, თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება. ამიტომაც, ტრადიციისამებრ ჰაფეზ ასადმა აღმასრულებელი ძალაუფლება თითქმის მთლიანად სუნიტებს ჩააბარა

სანაცვლოდ ალავიტებმა სრულად დაიქვემდებარეს არა მხოლოდ არმია, არამედ, ყველა ძალოვანი სტრუქტურა. შეიქმნა სხვადასხვა პროფილის მქონე 15-მდე სპეცსამსახური, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჰაფეზ ასადს ემორჩილებოდნენ. შეიცვალა კონსტიტუციაც და სირია საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. ასადმა სრულად დაიქვემდებარა პარტია „ბაასი“.

ჰაფეზ ასადის 30-წლიანი მმართველობისას, უკლებლივ ყველა გადაწყვეტილებაში ჰაფეზი მისთვის ჩვეულ პრაგმატიზმს ავლენდა. ამის მაგალითია 1973 წელს განვითარებული მოვლენები, როდესაც ასადმა განიზრახა სირიის კონსტიტუციიდან მესამე მუხლის ამოღება, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის პრეზიდენტი აუცილებლად სუნიტი მუსლიმი უნდა ყოფილიყო.

პრეზიდენტის გეგმებს მალევე მოჰყვა პროტესტი სუნიტური უმრავლესობის მხრიდან, რის შემდეგაც ასადმა აზრი შეიცვალა. მომდევნო წლებში, ჰაფეზ ასადმა დე ფაქტო სუნიფიკაცია დაიწყო: იგი ესწრებოდა ლოცვებს სუნიტურ მეჩეთებში, იცავდა ზოგიერთ რელიგიურ რიტუალს. ასადმა სისრულეში მოიყვანა ალავიტების კანონიკურ მუსლიმებად ქცევის პროცესი.

საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით, ასადმა კიდევ უფრო გაზარდა არმიის შემადგენლობა და შეიარაღება გაუმჯობესა. ცივ ომში, სირია საბჭოთა კავშირის მოკავშირედ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ასადების სისხლიანი ოჯახის აღზევება და დაცემა

მე-7 გვერდიდან

მიიჩნეოდა. თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტემ, ანვარ სადათის ხელმძღვანელობით, დიდი გეოპოლიტიკური ბრუნი განახორციელა და აშშ-ის პარტნიორი გახდა. საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ფინანსური დახმარება ასადს საშუალებას აძლევდა, განეხორციელებინა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები, სანაცვლოდ კი, სსრკ-მ სირიაში, ქალაქ ტარტუსში მცირე საზღვაო ბაზა მიიღო...

ასადის მმართველობით, ყველაზე დიდი ეკონომიკური სარგებელი მისმა უახლოესმა გარემოცვამ მიიღო, რომლის წევრებიც, დროთა განმავლობაში, მილიარდერებად იქცნენ. ლიბანსა და ერაყში მიმდინარე არეულობის ფონზე, ასადები ხაზს უსვამდნენ საკუთარ როლს, როგორც რადიკალური ისლამიზმის შემაკავებელ ფაქტორს.

ასადების ოჯახი ასოცირდებოდა სტაბილურობასთან, იქმნებოდა წარმოდგენა, თითქოს სახელმწიფოს კეთილდღეობა შეუძლებელი იყო მათი კეთილდღეობის გარეშე. ჰაფეზ ასადის მმართველობის წლებში, სირია, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მოდერნიზებულ სახელმწიფოდ იქცა. ჰაფეზ ასადის დიპლომატიური მოხერხებისა და ნიჭის წყალობით კი ქვეყანა რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

... 1980-იანი წლების პირველ ნახევარში, ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, წარმოიქმნა პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტი, რასაც ქალაქ ჰამაში მშვიდობიანი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. საპროტესტო მოძრაობის სათავეში კი აღმოჩდა ისლამისტური ორგანიზაცია „მუსლიმური ძმობა“, რომელიც ასადის ძველი მოწინააღმდეგე იყო. ასადი ამ ორგანიზაციას წლების განმავლობაში დევნიდა. ჰამის აჯანყებაზე საუბრისას, BBC-ის ჟურნალისტის კითხვაზე, რამდენად ეყოფა სახელმწიფოს ძალა, რომ პროტესტს გაუმკლავდეს, ასადმა უპასუხა: „საქმე პირიქითაა და საკითხავია, რამდენად ეყოფათ ძალა აჯანყებულებს, გვებრძოლონ ჩვენ“.

მალევე დაიწყო საპროტესტო აქციების დახვრეტა, რამაც დემონტრაციას უფრო რადიკალური ხასიათი შესძინა. ეს კი ლეგიტიმაციას აძლევდა ჰაფეზ ასადს განეცხადებინა, რომ ისლამისტი რადიკალები ებრძოდნენ. ადგილზე აჯანყების ჩახშობას ჰაფეზის ძმა რიფაატი ხელმძღვანელობდა, მუდმივი საჰაერო დაბომბვებით, საარტილერიო და სატანკო შეტევებით, ასადებმა აჯანყებული ქალაქი სისხლში ჩაახრჩვეს. სხვადასხვა მონაცემებით, დაიღუპა 20 ათასზე მეტი ადამიანი, მათი უდიდესი უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქე იყო. ჰამა თითქმის სრულად განადგურდა.

ჰაფეზ ასადის მმართველობის ბოლო წლებში, სირიაში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. ასადმა მოახდინა ლიბანში თავისი დომინანტური როლის ლეგიტიმაცია. ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი გარღვევები არ ყოფილა, თუმცა ასადის დროს შეიქმნა ურბანული საშუალო კლასიც. ქვეყნის შიგნით კი დიქტატორის პიკი იყო. როგორც ჩანს, საბჭოთა ლიდერების მაგალითით, სირიაში ყველგან გამოფენილი იყო ჰაფეზ ასადის პორტრეტები, ასადების სახელობისა იყო არაერთი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი, ქვეყნის ჰიმნთან ერთად, მოსწავლეები ჰაფეზ ასადის სადიდებელ სიმღერებს მღეროდნენ.

ჩამოთვლილი მიღწევების გარდა, ჰაფეზ ასადს კიდევ ერთი ამოცანა უნდა გადაეჭრა – მას უნდა დაეფუძნებინა დინასტია და მისი სიკვდილის შემდეგ, ძალაუფლება მის რომელიმე შვილზე უნდა გადასულიყო. სწორედ ეს გახლდათ ჰაფეზ ასადის მთავარი ამოცანა. დინასტიის დღეგრძელობასა და მემკვიდრის შერჩევაზე ჰაფეზ ასადმა ფიქრი გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, თუმცა მისი გეგმები გარემოებათა გამო რამდენჯერმე შეიცვალა.

ამბობენ, რომ ჰაფეზ ასადმა თავდაპირველად, მემკვიდრედ საკუთარი ძმა რიფაატი შეარჩია – მისივე მარჯვენა ხელი, რომელიც სასტიკი და დაუნდობელი ადამიანის სახელით სარგებლობდა. ამასთან, მიიჩნეოდა, რომ რიფაატი აკონტროლებდა ლიბანიდან მომავალ კონტრაბანდულ ტვირთებს. დროთა განმავლობაში, რიფაატი რეჟიმის კორუმპირებულობისა და სისასტიკის სახედ იქცა.

1984 წელს, ჰაფეზ ასადს გულის შეტევა დაემართა. პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მალევე დამძიმდა და საეჭვო გახდა მისი გადარჩენა. რიფაატმა გადაწყვიტა, მომენტით ესარგებლა და აჯანყება წამოიწყო. დამასკოში რიფაატ ასადის მიერ კონტროლირებადი სამხედრო ნაწილები შევიდნენ. რიფაატმა ძალაუფლების აღება სცადა, მაგრამ ჰაფეზის მომხრეების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდა. ჰაფეზ ასადი მალე გამოჯანმრთელდა და რამდენიმე დღეში მართვის სადავეებიც მარტივად დაიბრუნა. რიფაატი სამხედრო თანამდებობებიდან გადააყენეს და ცოტა ხნით ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე გადაიყვანეს. წლის მიწურულს, იგი იძულებით ემიგრაციაში, საფრანგეთში გაუშვეს, საიდანაც ძალაუფლების ცენტრში ვეღარასდროს დაბრუნდა. რიფაატმა წარმატების ერთადერთი შანსი ხელიდან გაუშვა.

რიფაატის ღალატის შემდეგ, ჰაფეზმა არჩევანი უფროს ვაჟზე, ბასილზე შეაჩერა, რომელიც ერთობოდა ცეცხლსასროლი იარაღით, სპორტული მანქანებით და ცხენოსნობით. ბასილ ასადი დინასტიის გაგრძელებისთვის იდეალური არჩევანი იყო. მას ბავშვობიდანვე ამზადებდნენ პრეზიდენტობისთვის, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არმიაშიც, იყო თავდაჯერებული და ჰქონდა სპეციფიკური ქარიზმა, რომელიც აუცილებელია სირიისნაირი ქვეყნის ლიდერისთვის, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა 1994 წლის 21 იანვარს. ამ დღეს ბასილ ასადი საკუთარი ავტომობილით დამასკოს აეროპორტის გზატკეცილზე ავარიაში მოჰყვა და ადგილზე გარდაიცვალა.

... ჯანმრთელობაშერყეულ ჰაფეზ ასადს სწრაფად უნდა შეერჩია მემკვიდრე, მოემზადებინა ძალაუფლების უმტკივნეულო გადაცემა და გაენაღდებინა მემკვიდრის პოლიტიკური მომავალი. არჩევანი კი დიდი არ იყო, ასადს სამი ვაჟი დარჩა, აქედან ერთი, მაჯდი ფსიქიკური დაავადებით იტანჯებოდა, მეორეს, 27 წლის მაჰერს კი იმპულსური ხასიათი ჰქონდა და მეტისმეტად ფიცხი იყო.

ამბობენ, რომ სწორედ მაჰერი იყო დედის, ანისა მახლუფის ფავორიტი. ცნობილია ოჯახში ანისა მახლუფის განსაკუთრებული გავლენების შესახებ. მას ახასიათებენ, როგორც შესანიშნავ მანიპულატორს, მტკიცე და ხისტი ხასიათის ადამიანს. მიუხედავად ამისა, იმ მომენტში, საბოლოო სიტყვა ჰაფეზ ასადს ეკუთვნოდა და მან ახალ მემკვიდრედ 29 წლის ბაშარი შეარჩია, თუმცა მომავალში ანისამ კიდევ თქვა თავისი სიტყვა.

არასდროს არავის უფიქრია, რომ ბაშარი პოლიტიკაში ჩაერთვებოდა. ახალგაზრდობიდანვე ბაშარს ჰქონდა საშუალება, ეკეთებინა ის, რაც თვითონ აინტერესებდა. ძმებისგან განსხვავებით, მას არ უსწავლია სამხედრო სასწავლებელში. ბაშარი იხსენებს, რომ ბავშვობიდანვე ჰუმანიტარული სფერო იზიდავდა. პოლიტიკურ კარიერას ბაშარმა ექიმობა, კერძოდ კი ოფთალმოლოგობა ამჯობინა, რითაც მამის აუხდენელი ოცნება აასრულა.

დამასკოს უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, ბაშარ ასადი პრაქტიკის მისაღებად ლონდონში გაემგზავრა. ბაშარმა ლონდონში არასრული ერთი წელი დაჰყო, რა დროსაც მუშაობდა დამხმარე ქირურგად და ეცნობოდა დასავლურ კულტურას. ცნობილია, რომ ბაშარს განსაკუთრებით მუსიკა იტაცებდა, ამბობენ, რომ ამ პერიოდში, მისი საყვარელი შემსრულებელი იყო ფილ კოლინზი და ჯგუფი „ჯენეზისი“.

ბაშარი ამბობს, რომ ოფთალომოლოგობა რამდენიმე ფაქტორის გამო იზიდავდა, მათ შორის კი მთავარი ის იყო, რომ ოფთალმოლოგის მიერ გაკეთებული ოპერაციისა თუ მანიპულაციის შედეგი დაუყოვნებლივ ჩანს და ექიმი უშუალოდ ხედავს თავისი შრომის შედეგს.

ბაშარის სწავლა ძმის გარდაცვალებასთან ერთად შეწყდა, თუმცა მანამდე იყო საბედისწერო შეხვედრა. სწორედ ლონდონში გაიცნო ბაშარ ასადმა ასმა აკრასი, მომავალი ცოლი. ასმა ლონდონში, სირიელი მიგრანტების ოჯახში დაიბადა.

ბაშარის დასავლური ოდისეა ბასილის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა, რადგანაც ის, პრაქტიკულად, ერთადერთ შესაძლო მემკვიდრედ განიხილებოდა. ბაშარი დამასკოში ბასილის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში დაბრუნდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს, რომ მამას მისთვის დაბრუნება არ უთხოვია, თუმცა ის ხვდებოდა, რომ სამშობლოში სამუდამოდ ბრუნდებოდა...

2000 წლის 10 ივნისს, სირიასა და ლიბანში ერთკვირიანი გლოვა გამოცხადდა. ამ დღეს, 69 წლის ასაკში გარდაიცვალა ჰაფეზ ასადი. გლოვამ მთელი სირია მოიცვა, ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგები, ტიროდნენ და მოთქვამდნენ პარლამენტის წევრები, ცრემლები წასკდა ტელეწამყვანსაც, რომელმაც ქვეყანას ჰაფეზ ასადის გარდაცვალება აუწყა. ჰაფეზ ასადი, ლიბანის პრემიერ სელიმ ჰოსთან სატელეფონო საუბრის დროს გარდაიცვალა, გულის შეტევით. ამ დროისათვის, ბაშარს ხელისულების სათავეში ყოფნა უკვე გარანტირებული ჰქონდა.

პრეზიდენტობის გარდა, ბაშარი ოჯახის შესაქმნელადაც ემზადებოდა. წყვილი საზეიმო წვეულებისა და საჯარო გამოცხადების გარეშე დაქორწინდა. 1999 წელს, ასმამ ჰარვარდიდან სწავლის გაგრძელების შემოთავაზება მიიღო, რასაც მან სირიის პირველ ლედიდ ყოფნა არჩია...

ბაშარის ასაკის, განათლებისა და დასავლეთში ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობდა აზრი, რომ ის რეფორმატორი იქნებოდა და სირია დემოკრატიზაციის გზით წავიდოდა.

ჰაფეზის გარდაცვალების მომენტში, ბაშარი 34 წლის იყო, კონსტიტუციით კი საპრეზიდენტო ასაკობრივი ცენზი 40 წელი იყო. შესაბამისად შეიცვალა კონსტიტუციაც და ცენზი ბაშარის ასაკით განისაზღვრა. საპრეზი-

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№42 11 დეკემბერი 2024 წ

„ვნანობ, იმ ბოზის გულისთვის რომ ცხოვრება დავინგრიე“

როგორ მოკლა მამაკაცმა საყვარელი ქალი

ბათო ჯაფარიძე

100 შემთხვევიდან 99-ში, დამნაშავე შეცდომას უშვებს. მთავარია, გამომძიებელმა ეს შეცდომა დაინახოს, მიხვდეს, სად შეეშალა კრიმინალს და საქმეც გაიხსნება, მაგრამ ხან შეცდომაა იმდენად უმნიშვნელო, რომ ყურადღებას არავინ აქცევს, ხან კიდევ, ისე კარგად არის ყველაფერი შეფუთული, რომ ერთი შეხედვით, გადამოწმებასაც არ საჭიროებს. სწორედ დეტალებშია ხოლმე დამალული „ეშმაკი“ და საქმის გასაღები, მთავარი მისი დანახვა და პოვნაა, მერე კი, ყველაფერი მარტივდება.

დასავლეთ საქართველოში, 50 წლამდე ქალი მოკლეს და სამართალდამცავებს მისმა მეზობელმა მიმართა თხოვნით, ეგებ, მკვლელი იპოვოთ და წაღებული ფული დააბრუნებინოთ, რადგან იმ თანხაში ჩემი 5 ათასი დევს, ცოტა ხნის წინ ისესხა და თუ მკვლელს არ იპოვით, ამ თანხას არავინ დამიბრუნებსო.

გარდაცვლილი ქმარს დაშორებული იყო, ჰყავდა 24 წლის გოგონა და უზარმაზარი აზიური ნაგაზი, რომელიც სუფთა სისხლის გახლდათ და არაერთი ჯილდოს მფლობელი იყო. ქალის ყოფილი ქმარიც იმავე ქალაქში ცხოვრობდა და ძალიან სურდა, რომ ქალიშვილს მასთან ეცხოვრა და არა – დედასთან, მაგრამ გოგო მაინც დედასთან ყოფნას არჩევდა. მართალია, მამას მეორე ცოლი ოფიციალურად არ ჰყავდა, მაგრამ ვიღაც ქალთან ერთად ცხოვრობდა და გოგონა სწორედ მას ვერ იტანდა, ამბობდა, მამა არ უყვარს, მასთან, უბრლოდ, ფულის გამო არისო. დედის გვამიც სწორედ გოგომ აღმოაჩინა, შინ დაბრუნდა, კარი გააღო და სამზარეულოში, ზურგში დანაგაყრილი დედა იპოვა. მაშინვე მამას დაურეკა, თუმცა მან მისვლაზე უარი განაცხადა, ცოცხალს არ ვუყვარდი და მკვდარი არ მინდა, ვნახო, სასწრაფოში დარეკე, ეგებ, გადაარჩინონო. რა თქმა უნდა, მისი ეს საქციელი საეჭვოდ ჩანდა, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მკვლელობაში ვერ დაადანაშაულებდნენ. რაც მთავარია, არსად ჩანდა ძაღლი და მეზობლის ქალი სწორედ ამაზე აკეთებდა აქცენტს.

„იმის მიუხედავად, რომ ლამის ყოველდღე ვხედავდი, ძაღლი პატრონის გარდა, თითქმის არავის სცნობდა. ის გარეთ მარტო არ გადიოდა, უცხოს ზღურბლზე არ უშვებდა. გამოდის, რომ მას, ვინც ჩემი მეგობარი მოკლა, ძაღლი კარგად იცნობდა, ან პატრონმა უთხრა, რომ მშვიდად ყოფილიყო და ძაღლიც დაუჯერებდა. სად არის ძაღლი? იპოვეთ და, ეგებ, მკვლელობაც გაიხსნას“, – არ ცხრებოდა მეგობარი.

გოგონას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა წასულიყო მათი უზარმაზარი ოთხფეხა მეგობარი და მასზე ძებნაც გამოცხადდა. მალე დასუფთავების სამსახურიდან მოვიდა ცნობა, რომ დილით, მეეზოვეებმა ურნაში უზარმაზარი მკვდარი ნაგაზი ნახეს. ყურადღება იმიტომ მიაქციეს, რომ ძალიან დიდი იყო და რაღა თქმა უნდა, ის ნაგავსაყრელზე წაიღეს. ძალოვნები მაშინვე ნაგავსაყრელზე წავიდნენ და ცხოველი ნახეს, აინტერესებდათ, რითი იყო მკვდარი. მას მუცელზე ახალი ჭრილობის კვალი ეტყობოდა, მაგრამ ჭრილობა ამოკერილი გახლდათ. ძაღლის უსულო სხეული ექსპერტიზაზე წაიღეს.

„იმის მიხედვით, თუ როგორ არის ჭრილობა ამოკერილი, რა ხსნარით არის დამუშავებული, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეს პროფესიონალის ნამოქმედარია. ამას მხოლოდ ვეტერინარი თუ მოახერხებდა და ამ დონის პროფესიონალი ცოტა გვყავს. ჰო, გაჭრილია კუჭიც, სავარაუდოდ, ძაღლმა რაღაც გადაყლაპა და ის ამოუღეს. სწორედ კუჭზე აქვს ნაკერი გახსნილი, რის შედეგადაც შინაგანი სისხლდენა დაეწყო და მოკვდა. ეს არ არის ექიმის შეცდომა, ასე არცთუ იშვიათად ხდება, რადგან ძაღლის კუჭს თხელი კანი აქვს. როგორც წესი, ჭრილობას არ ხურავენ ხოლმე, მაგრამ იმას, ვინც ძაღლი საოპერაციოდ მიიყვანა, ალბათ, ძალიან ეჩქარებოდა“, – განაცხადა ექსპერტმა.

სამართალდამცავებმა ვეტექიმი ადვილად იპოვეს, რომელმაც დაადასტურა, რომ მასთან ძაღლი საოპერაციოდ მართლაც მიიყვანეს, მას ოქროს საათი ჰქონდა გადაყლაპული. ძაღლი კაცმა მიიყვანა, საათიც მამაკაცის იყო. ყველაფერი სწორად გაკეთდა, უბრალოდ, ის ვალდებული იყო, ძაღლი კლინიკაში, ზედამხედველობის ქვეშ დაეტოვებინა, მაგრამ იუარა, წაიყვანა და მას შემდეგ რა მოხდა, ვეტერინარმა არ იცოდა. მან დეტალურად აღწერა მამაკაცი და ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს – აღწერილობა ზუსტად ემთხვეოდა გარდაცვლილის ქმარყოფილს. რაღა თქმა უნდა, მის დასაკავებლად წავიდნენ.

„ვაღიარებ, შინ ვიყავი, მაგრამ ცოლი ცოცხალი დავტოვე. ძაღლი მიცნობდა და ამიტომ, პრობლემა არ მქონია, მაგრამ ძაღლს ერთი თვისება ჰქონდა, მაჯაზე იცოდა ხოლმე პირის ჩავლება და რომ ჩამავლო, საათი გაიყოლა. კინაღამ გავგიჟდი, ცოლმა მითხრა, წამალი დაალევინე, კუჭი აეშლება და მოინელებსო. წავედი, მაგრამ მითხრეს, გამორიცხულია, რომ მოისაქმოსო და ამიტომ, ოპერაცია გავაკეთებინე. მინდოდა, ძაღლი მალე დამებრუნებინა, არ იყო ცუდი ვეტექიმი, მაგრამ მანქანაში მომიკვდა, ვერ მივხვდი, რა დაემართა. ამიტომ, სანაგვეში ჩავაგდე და შინ წავედი, არ მქონდა ცოლის ისტერიკების თავი. მერე კი, როცა შვილმა დამირეკა და მითხრა, რომ დედა მოკლეს, შემეშინდა და ამ მიზეზით აღარ მივედი ადგილზე. ის, რომ ნამდვილად შორს ვიყავი იმ დროს, „გაიშნიკები“ დაადასტურებენ. დარღვევის გამო გამაჩერეს და ფული მივეცი“, – განაცხადა დაკავებულმა და გადამოწმების შემდეგ, მისი ალიბი დადასტურდა. მართალია, თავიდან „გაიშნიკებს“ არ სურდათ იმის აღიარება, რომ ფული აიღეს, მაგრამ საქმე მკვლელობას ეხებოდა და სიმართლე თქვეს.

ამასობაში, ვიღაც კაცი გამოჩნდა, რომელზეც გარდაცვლილის შვილმა თქვა, დედაჩემის საყვარელია, მეზიზღება, ვერ ვიტანი, ბოლო დროს ფულს სთხოვდაო. ეს ძალიან საყურადღებო იყო, ამიტომ მამაკაცი დაკითხეს, მაგრამ მან მშვიდად თქვა, სხვა ქალაქში ვიყავი, დავრეკე კიდეც მკვლელობის დღეს, მან მიპასუხა ანუ იმ დროისთვის ნამდვილად ცოცხალი იყოო. გადაამოწმეს და მისი ალიბიც დადასტურდა. დადასტურდა ისიც, რომ იმ დროს სატელეფონო ზარი აღნიშნული სასტუმროდან მართლაც განხორციელდა. ამის ამონაწერი სამართალდამცავებს კავშირგაბმულობის კომპანიამ მიაწოდა.

ამასობაში, ლომბარდიდან დარეკეს და განაცხადეს, რომ მათ ვიღაც ბიჭმა, ბინიდან დაკარგული, ძვირფასი საყურე მიუტანა. ბიჭმა პასპორტიც წარადგინა ანუ მისი ვინაობა იცოდნენ. რაღა თქმა უნდა, მისი დაკავება მარტივად მოახერხეს.

„მე არც არავინ მომიკლავს და არც არაფერი მომიპარავს. ჩემს შეყვარებულს დედა გარდაეცვალა და სწორედ მან მომცა ეს საყურეები დასალომბარდებლად, ფული მჭირდება გასვენებისთვისო და რა უნდა მექნა? მთელი თანხაც სწორედ მას მივეცი, შეგიძლიათ, გადაამოწმოთ“, – განაცხადა დაკავებულმა და როცა შეყვარებულის სახელი თქვა, გამომძიებლები კიდევ ერთხელ გაოცდნენ – ის გარდაცვლილის შვილი იყო.

„დედაჩემის საყურეები მე მეკეთა და როცა ეს მოხდა, ვიფიქრე, რომ ამასაც ჩავწერდი დაკარგულ ნივთებში, მაინც მგონია, რომ მკვლელს ვერ მიაგნებთ. მე მეგობრების ვალი მაქვს, გასვენებისთვისაც მჭირდება ფული და ასე იმიტომ მოვიქეცი“, – განაცხადა გოგონამ.

სამართალდამცავებმა უკვე აღარ იცოდნენ, ვისთვის დეჯერებინათ და ყველა დეტალის გამორკვევა ახლიდან დაიწყეს. სწორედ ახლიდან კვლევის დროს შენიშნეს ერთი საინტერესო დეტალი – გარდაცვლილის საყვარელი კი ამტკიცებდა, ქალს დავურეკე და ვესაუბრეო, მაგრამ კავშირგაბმულობიდან მიღებული დოკუმენტის მიხედვით, საუბარი სულ რაღაც 5 წამი გაგრძელდა, რაც ძალიან საეჭვო იყო. როდესაც საყვარელ ქალს სხვა ქალაქიდან ურეკავ, 5 წამში არ უნდა დაემშვიდობო. ამიტომ, გამომძიებლები იმ სასტუმროში წავიდნენ და ის პერსონალი მოიძიეს, რომელიც აღნიშნულ დღეს მორიგეობდა.

„დიახ, მახსოვს ეს მობინადრე. იმ დღეს მთხოვა, რომ კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ნომერზე დამერეკა, რამე მეკითხა და საუბარი გამეწელა, საყვარელ ქალს ვეხუმრებიო. მეც დავრეკე, ქალმა მიპასუხა, მაგრამ მალე გამითიშა, მგონი, ნერვები ჰქონდა მოშლილი“, – განაცხადა მორიგემ.

ეჭვმიტანილი მამაკაცი დააკავეს, მის სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და მართალია, სისხლიანი ტანსაცმელი ვერ აღმოაჩინეს (გადაყრილი ჰქონდა), ლაბადის შიგნითა მხარეს ნახეს სისხლის რამდენიმე წვეთი, რომელიც გარდაცვლილს ეკუთვნოდა. სავარაუდოდ, მას ლაბადის გადაგდება დაეწანა.

„ამ ქალს უამრავი ფული დავახარჯე, ძალიან, ძალიან ბევრი ფული. ახლა კი, რაღაც თანხა დამჭირდა, ვიცოდი, რომ ჰქონდა, მაგრამ უარი მითხრა და გამომიცხადა, ფული თუ მე მოგეცი, რაღაში მჭირდები, მით უმეტეს, ახალგაზრდა თაყვანისმცემელიც მყავსო. ეს რომ თქვა, თვალთ დამიბნელდა, ანგარიშმიუცემლად ავიღე დანა და დავარტყი. ვნანობ, იმ ბოზის გულისთვის რომ ცხოვრება დავინგრიე, მაგრამ ვეღარაფერს შევცვლი“, – განაცხადა დაკავებულმა, თუმცა სასამართლომ არ დაუჯერა, რადგან სასტუმროდან ის სწორედ იმ განზრახვით წამოვიდა, რომ ქალი მოეკლა, სხვაგვარად, ალიბის შექმნაზე არ იფიქრებდა.

იძებნება... მამამთილი

ცნობილი მეცნიერის უცნაური თავგადასავალი

ბათო ჯაფარიძე

ყველა ადამიანს აქვს ხუშტური და ხასიათის თავისებურება. რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით რთულია მისი ხასიათისა და გუნება-განწყობის გამოცნობა. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ძირითადად ასეა. მაგალითისთვის მეცნიერები ავიღოთ, რომლებიც კაცობრიობას ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ, მაგრამ ოჯახის წევრები მათ უცნაურ ხასიათზე ხმამაღლა არა, მაგრამ მაინც საუბრობენ.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, სწორედ ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერს ეხება, მისი აღმოჩენები თუ წიგნები დღემდე სახელმძღვნელოა და არა მარტო ქართველებისთვის. სინამდვილეში, ბევრმა არ იცის, რომ ეს ადამიანი ძალიან, ძალიან რთული ხასიათის იყო და მხოლოდ მეცნიერებაზე ფიქრობდა, ყველა-ფერი დანარჩენი კი, უბრალოდ, არ აინტერესებდა და ადამიანებსაც კი, მეცნიერების დამხმარე ატრიბუტად თვლიდა.

პოლიციის განყოფილებაში ქალბატონი მივიდა და განცხადა, რომ მამამთილი დაკარგა.

„ყველაფერი ერთი კვირის წინ დაიწყო. მოულოდნე-ლად, მამამთილი გამოგვეცხადა, რომელმაც გვითხრა, რომ საკუთარი მემკვიდრეობა სურდა შვილისთვის დაეტოვებინა. შვილი ჩემი ქმარია, ჩვენ შვილიც გვყავს ანუ იმ კაცის შვილიშვილი. ჩემმა მეუღლემ მამა ცივად მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ როცა დაიბადა, მამა ოჯახიდან უკვე წასული გახლდათ. ის მეცნიერია, მსო-ფლიოში ცნობილი მეცნიერი. თურმე, ჩემი დედამთილი მასთან ლაბორანტად მუშაობდა, ურთიერთობაც ჰქო-ნდათ და მერე, როცა კაცმა გაიგო, რომ ქალი ორსულად გახლდათ, მიატოვა და რუსეთში წავიდა. აქამდე მასზე არაფერი გვსმენია, ახლა კი, მოულოდნელად გამოგვე-ცხადა, მოხუცებულია, საკმაოდ მოტეხილი, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება. მას სურს, რომ თბილისში არსებული ბინა და მოსკოვის სახლი დაგვიტოვოს. ქმარს რომ ესაუბრა, დიდად აღფრთოვანებული არ დარჩა, რადგან ის, როგორც ძაღლს, ისე ელაპარაკე-ბოდა, ეუბნებოდა, აქამდე სად იყავი, ახლა, ალბათ, მოვლა გჭირდება და იმიტომ გამოჩნდიო. არადა, მას მოვლა აშკარად არ სჭირდება. ჰოდა, სამი დღეა, ჩემი მამამთილი სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა. არ ვიცით, სად არის, სად ვეძებოთ. ჩემს ქმარს ბიზნესი აქვს, დიდი სახლი გვაქვს და მამამთილი ჩვენთან რჩე-ბოდა, თუმცა სამი დღეა, გაქრა“, – განაცხადა ქალმა.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მუშაობა მა-შინვე დაიწყეს. გამოჩენილი მეცნიერის გაქრობა (იმის მიუხედავად, რომ ბოლო რამდენიმე ათეული წელი რუ-სეთში მოღვაწეობდა), უბრალო საქმე არ იყო. პირველ რიგში, სასტუმროები, საავადმყოფოები და მორგები მოიძიეს, თუმცა იქ ვერ მიაგნეს. ეს, ერთი მხრივ, კარგი იყო, რადგან საავადმყოფოებსა და მორგებში რომ არ დახვდათ, გამოდიოდა, რომ უდიდესი ალბათობით, ცო-ცხალი იყო. პაპა ბოლოს შვილიშვილმა ნახა, რომელიც 23 წლის გახლდათ და ცალკე ცხოვრობდა. მან მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, სად შეიძლებოდა წასუ-ლიყო, ისე კი, ძალიან კარგი მოხუცია, გადასარევად აზრივნებს, თანამედროვეობაზეც კარგი წარმოდგენა აქვს. მინდა, ასეთი პაპა მყავდესო...

გამომძიებელს მოეჩვენა, რომ პაპისადმი ასეთი თბილი დამოკიდებულების მიუხედავად, ბიჭი საერთოდ არ ნერვიულობდა, რომ მოხუცი დაკარგული იყო და ვერ პოულობდნენ.

პარალელურად, სამართალდამცავებმა რუსეთიდან მეცნიერის ფოტო გამოითხოვეს, ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვეძებთო. ოჯახში მისი ფოტო არ ჰქონდათ, დედამ არ დამახვედრა და მე რატომ უნდა მეძებნა კაცი, რო-მელმაც მაშინ მიმატოვა, როცა ჯერ კიდევ მუცელში ვიყავიო. ერთი გაფიქრება, ისიც კი თქვეს სამართა-ლდამცავებმა, რომ შეიძლებოდა, გაბრაზებულ შვილს მამაზე შური ეძია, მაგრამ ეს აზრი მალევე უარყვეს – ჯერ ერთი, ბიზნესმენისთვის დამატებითი ქონება არ იქნებოდა ურიგო და მეორეც, არ იყო მოწოდებით კრიმინალი და კაცს, მით უმეტეს, მამას, ვერ და არ მოკლავდა. ფოტო მალე ჩამოვიდა და ყველა განყო-ფილებაში გამოაკრეს, თან ისევ სასტუმროებსა და საავადმყოფოებს ამოწმებდნენ. რადგან წინსვლა არ იყო, კვლავ ოჯახს მიადგნენ, ეგებ, რამე გამოგრჩათ და გვითხრათო. მათ კი მხრები აიჩეჩეს, რაც ვთქვით, ვერაფერს დავამატებთო და გამომძიებელმა ჯიბიდან ფოტო ამოიღო, ხომ ჰგავს თქვენს მოხუცს, სხვანაირად ხომ არ გამოიყურებაო. ცოლ-ქმარმა ფოტოს დახედეს, მერე ერთმანეთს შეხედეს და მტკიცედ თქვეს – „ფო-ტოზე სულ სხვა კაცია გამოსახული!“

გამომძიებელი დაიბნა, რუსეთში ახალი მოთხოვნა გააგზავნა და ახალი ფოტოებიც მიიღო, მაგრამ იმავე კაცის, რომლისაც პირველ ეტაპზე გამოუგზავნეს. მე-ტიც, ცოტა ხანში მოსკოვიდან დარეკეს და თქვეს, რომ მეცნიერი, რომლის ფოტოებსაც ასე დაჟინებით ითხო-ვდა ქართული მხარე, ორი წლის განმავლობაში ეტლში იჯდა, მოგზურობა არ შეეძლო და ამჯერადაც რუსეთის დედაქალაქში იმყოფებოდა. ეს რაღაც ახალი გახლდათ – გამოდიოდა, რომ მისი სახელით ვიღაც ჩამოვიდა და ამათ რაღაც მემკვიდრეობაზე ესაუბრებოდა. ძიება სხვა მიმართულებით წავიდა, ამოიღეს ჩანაწერები აე-როპორტიდან, შეაჯერეს, ოჯახს პასპორტების ასლები ანახეს და მათ ის მამაკაცი ამოიცნეს, რომელიც თავს მეცნიერად ასაღებდა. მოსკოვმა დაადასტურა, რომ ეს კაცი, რამდენიმე ათეული წელი, მეცნიერის ასისტენტი იყო და მას ერთგულად ემსახურებოდა. გამოდიოდა, რომ საქართველოში სწორედ ის ჩამოვიდა. რუსმა სა-მართალდამცავებმა მეცნიერი დაჰკითხეს.

„დიახ, მე გავუშვი ჩემი უერთგულესი თანაშემწე საქართველოში იმისთვის, რომ ჩემი შვილი ენახა. თუ ის ღირსეულია, ქონებას დავუტოვებ, თუ არადა, ყველაფერს მოსკოვის ზოოპარკს გადავცემ, მე ცხო-ველები ძალიან მიყვარს. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი ასისტენტი დაიკარგა, არ მჯერა. მან გუშინ დამირეკა და მითხრა, რომ ძალიან კარგი შვილიშვილი მყავს, ამიტომ მთელ ქონებას, სავარაუდოდ, სწორედ მას დავუტოვებ. ერთ ზარს კიდევ ველოდები, რაღაც უნდა დადასტურდეს და ანდერძსაც დავწერ“, – განაცხადა მეცნიერმა.

მეცნიერის განცხადებამ ძალოვნები საერთოდ დააბნია. გამოდიოდა, რომ ამ ტყუილის აზრზე თავად ისიც იყო, მაგრამ... სად გაქრა ასისტენტი? ან საიდან რეკავდა და რა უნდა დაედასტურებინა? სამართა-ლდამცავები მას ძალიან აქტიურად ეძებდნენ და ისევ ბიჭთან მივიდნენ, რომელიც „პაპაზე“ ძალიან თბილად საუბრობდა. როცა უთხრეს, რომ ის მისი ნამდვილი პაპა არ იყო, მხოლოდ გაეღიმა და ნერვიც არ ატოკებია.

„ბიჭის ბინას უთვალთვალეთ, მან იცის, სად არის მოხუცი“, – გასცა განკარგულება გამომძიებელმა და მართლაც, მის სახლთან მორიგეობა ოპერჯგუფმა დაიწყო. ბევრი ლოდინი არ დასჭირვებიათ, ის, ვისაც ეძებდნენ, საღამოს გამოჩნდა და ბინაშიც კი არ აუშვეს, სადარბაზოსთან დააკავეს.

„რასაც ახლა მოგიყვებით, შესაძლოა, ზღაპარს ჰგავდეს, მაგრამ რეალობა ეს არის. პროფესორს ლა-ბორანტთან ურთიერთობა, მგონი, მხოლოდ ერთხელ, ან ორჯერ ჰქონდა. მას ამაზე საუბარი არ უყვარდა. ესეც მანამდე იყო, სანამ მე გამოვჩნდებოდი. მე მა-რთლა გულწრფელად შემიყვარდა ის ქალი, ცოლად მოყვანასაც ვაპირებდი, მაგრამ მოულოდნელად, პროფესორმა წასვლა გადაწყვიტა, მე აუცილებლად უნდა წავყოლოდი, ქალი კი ვერ წამომყვა, დედა ჰყავდა ავად, ვერ ტოვებდა. წავედით და მერე გავიგე, რომ ორსულად იყო. პროფესორმა გადაწყვიტა, რომ ეს მისი შვილი იყო და ხელი აიქნია, აბორტი გაიკეთოსო. მე კი... მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბავშვი ჩემი იყო, თანაც ლაბორანტმა მითხრა, ორივე დამეკარგეთ, აბორტი გავიკეთეო. თურმე, პროფესორი, აქაური ნაც-ნობების მეშვეობით, ამ ქალის ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებდა, თუმცა ყურადღებას არ აქცევდა. ახლა კი, სიბერეში გადაწყვიტა, რომ ყველაფერი შვილისთვის დაეტოვებინა, მაგრამ მე მკაცრად გამაფრთხილა, თუ კარგი კაცია და იმსახურებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დავუტოვებო. ეს დღეები დნმ-ის ანალიზის ჩასატარებ-ლად დამჭირდა. ჩემი შვილია ეს კაციც და ეს ბიჭიც ჩემი შვილიშვილია. ჩავალ და პროფესორს ყველაფერს ავუხსნი“, – განაცხადა დაკავებულმა.

მეცნიერისთვის ახსნა-განმარტებები საჭირო აღარ იყო, რადგან ის გარდაიცვალა. ანდერძის მიხედვით, მთელი ქონება სწორედ შვილიშვილს ერგო, თუმცა რე-ალურად, ის მისი შვილიშვილი არ გახლდათ. რუსმა სა-მართალდამცავებმა ბევრი იბრძოლეს, სასამართლოშიც იჩივლეს, რადგან სურდათ, მეცნიერის არცთუ მცირე ქონება რუსეთს დარჩენოდა, მით უმეტეს, მას ნათქვა-მიც ჰქონდა, შესაძლოა, ყველაფერი აქაურ ზოოპარკს დავუტოვოო. ზოოპარკზე არავინ ფიქრობდა, მთავარი იყო, მისი უზარმაზარი სახლი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ქართულმა მხარემ სასამართლო მოიგო. მოგების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ანდერძში ბიჭის სახელი და გვარი ეწერა, არ ეწერა სიტყვა შვილიშვილი ანუ მეცნიერი ქო-ნებას კონკრეტულ პირს უტოვებდა და რამე ნათესაურ კავშირზე მინიშნებას არ აკეთებდა. სწორედ ეს გახდა გა-დამწყვეტი, სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს.

ბათო ჯაფარიძე

ახლა ნაკლებად, მაგრამ მაშინ, როცა შევარდნაძის ეპოქა იდგა, საქართველოში არაერთი ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სხვებისგან განსხვავებული გემოვნება ჰქონდა და ზოგმა კაბების კერვა დაიწყო, ზოგმა – ტანსაცმლის, ზოგიც ლილოში ნაყიდ ჩანთებს რაღაც ფოჩებს ამაგრებდა და მოდის ბოლო კივილად ასაღებდა. ჰოდა, იყო ჩვენებები, პოდიუმები, მეტ-ნაკლებად ცნობილი სახეები და ტაშის კვრა. სიმართლე გითხრათ, ეს ყველაფერი მაშინ უცხო ხილი გახლდათ და ხალხი ყურადღებით ადევნებდა თვალს, „პაკაზებს“ ცალკე გადაცემებიც კი ეძღვნებოდა ხოლმე, მაგრამ ამ გადმოსახედიდან, ეს ყველაფერი უბრალოდ შოუ იყო და რეალურად, არაფერი ჰქონდა საერთო ნამდვილ მოდასთან. მერე და მერე, სიტუაცია უფრო დალაგდა, ვიღაცები, ადრე რომ კუტურიეობას იბრალებდნენ, საერთოდ გაქრნენ, ნაწილმა თავისი სახელობის მაღაზია გააკეთა და დღემდე ამუშავებს...

დიდი კრიმინალური გარჩევები ქართულ სამოდელო ბიზნესში

ვინ დაჭრა მოდელი და რატომ ფიგურირებს საქმეში ცნობილი ბიზნესმენი

არაერთი მოდელი სარფიანად გათხოვდა, არაერთმა ტელეკარიერა აიწყო და ბევრმა მცირე ბიზნესიც წამოიწყო. მაშინ პოდიუმზე გამოსვლა 100 დოლარი ღირდა, რაც იმ დროისთვის და მაშინდელი საზომებით, საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. რაღა თქმა უნდა, იყო ცოტა (ან ბევრი) ქალური შური და კონკურენცია, თუ ქიშპი. ეს არა მხოლოდ მოდელებს, არამედ, მათაც ეხებოდა, რომლებიც ამ კაბებს ქმნიდნენ. ჰოდა, სწორედ ერთ-ერთი ასეთი დამწყები დიზაინერი მივიდა მილიციის განყოფილებაში (მაშინ პოლიცია ჩანასახშიც არ იყო) და განაცხადა, რომ „იღუპება“, რადგან „პაკაზის“ წინ, მთავარი კაბა მოპარეს.

„მე ძალიან ნიჭიერი ვარ და შესაბამისად, ძალიან ბევრი მტერი მყავს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ჩემმა მტრებმა, რომ პირველი ჩვენება ჩამიშალონ და დეფილეს მთავარი კაბა მომპარეს. გემუდარებით, მიშველეთ, ორ დღეში ჩვენება მაქვს და ისეთ შედევრს, როგორიც ის კაბაა, ასე მალე ვერ შევქმნი, ორი თვე მოვანდომე და ძლივს დავასრულე“, – იცრემლებოდა დიზაინერი.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. ახლა, ყველაზე ნაკლებად, სწორედ კაბის მოძებნა ადარდებდათ, თუმცა განცხადება დაიტოვეს და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, „დიკიდეს“. ყველაფერი, დაახლოებით, ერთ საათში შეიცვალა, როცა იმ დიზაინერის სახელოსნოს საწყობში, დარაჯმა ერთ-ერთი მოდელი იპოვა, რომელიც სისხლში ცურავდა, უგონო მდგომარეობაში იყო და რაც მთავარია, ტანზე სწორედ ის დაკარგული კაბა ემოსა. გოგონა სასწრაფო წესით საავადმყოფოში გადაიყვანეს, ექიმები ამბობდნენ, ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა და შეიძლება ვერ გადარჩესო. სამოდელო სააგენტოში სრული ქაოსი იყო, ყველა შეშინებული იყურებოდა აქეთ-იქით, დამწყები დიზაინერი კი, სამართალდამცავებს ემუდარებოდა, ის კაბა დამიბრუნეთ, სხვა მოდელს ვიშოვი და ჩვენებას მოვაწყობო. რეალურად, ახლა მას თავის საქმე აინტერესებდა და არა ის, ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ მოდელი.

„მე სულ სხვა მოდელი მინდოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთი ჩვენებები სპონსორის გარეშე ვერ იმართება. სპონსორმა კი, კატეგორიულად მოითხოვა, რომ მთავარი კაბა სწორედ ამ გოგონას უნდა ჩაეცვა. ეს დამწყები მოდელია და მართალია, გამოცდილება არ აქვს, მაინც დავთანხმდი. ამან მეორე მოდელი გააბრაზა, მეჩხუბა და სააგენტოდან გავაგდე და ეს იმის მიუხედავად, რომ მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. მხოლოდ ჩემთან კამათში არ არის საქმე, სხვა გოგონებმა მითხრეს, რომ საგრიმიოროში, იმ ახალ მოდელს, ვინც დაჭრეს, თმაში სწვდა და სახეში ხელის დარტყმას უპირებდა, ალბათ, სურდა, დაელურჯებინა, რომ მას ორ დღეში პოდიუმზე გასვლა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ დაზარალებულმა ხელები აიფარა სახეზე და ამიტომ გადარჩა. მთავარია, კაბა გამოჩნდა, გავრეცხავ და ყველაფერი კარგად იქნება“, – დიზაინერი ისევ თავის კაბასა და ჩვენებაზე ფიქრობდა.

გაჩნდა ეჭვი, რომ გოგონა სწორედ კონკურენტმა დაჭრა, ამიტომ გამომძიებლები მის სანახავად წავიდნენ. ის სახლში იყო და სამართალდამცავების დანახვამ ძალიან გააკვირვა. როცა გაიგო, რის გამო ესტუმრნენ, უფრო გაოცდა, მერე ჩაფიქრდა, გამომძიებელს შეხედა და ჩუმად თქვა – „ვიცი, ვინც ჩაიდინა!“

„როცა სააგენტოდან გამომაგდეს, სხვა სააგენტოს მფლობელი დამიკავშირდა, ისიც დიზაინერია და მითხრა, მოდი, საქმე მაქვსო. მივედი და შემომთავაზა, თუ მთავარ კაბას მომიტან, ჩემთან დაგასაქმებ, ყველა ჩვენებაზე პოდიუმზე იქნები და სხვებზე მეტსაც გადაგიხდიო. თავიდან დავთანხმდი, ძველ სააგენტოში კაბის მოსაპარად დავბრუნდი, მაგრამ არ შემიშვეს. მფლობელს, თურმე, დაცვა ჰყავდა გაფრთხილებული, რომ მე შიგნით არ შევეშვი. ამიტომ, ქურდობა არ გამომივიდა და სახლში დავბრუნდი. ჰოდა, დარწმუნებული ვარ, იმან ჩანაფიქრი აისრულა და სავარაუდოდ, სწორედ ის შეეცადა მოდელის მოკვლას“, – განაცხადა გოგონამ.

სხვა რა გზა იყო, გამომძიებლები ახლა კონკურენტ სააგენტოში წავიდნენ. ახალგაზრდა დიზაინერი სამართალდამცავებს მშვიდად შეხვდა და როცა მათი კითხვა მოისმინა, ნაზად გაიღიმა, მერე ხელები გამოსწია წინ და...

„შეხედეთ ჩემს ხელებს. ისინი საოცარი კაბების შესაქმნელად არიან და არა – მკვლელობისთვის. ყველაზე მჭრელი, რაც ხელში მჭერია, მაკრატელია და ამიტომ, მე მას ვერ დავჭრიდი. ჰო, ისეც არ ვნერვიულობდი იმ ახალ კაბაზე, ასეთი რამ რომ ჩამედინა. თანაც, მთელი დღეა აქ ვარ, ჩემი გოგონები დაადასტურებენ და ამიტომ, ალიბიც მაქვს“, – დიზაინერი ბედნიერი სახით იყურებოდა და ყოველი შემთხვევისთვის ისიც იკითხა, კაბა დაზიანდა თუ გადარჩაო?!

ამასობაში, ექსპერტმა წინასწარი დასკვნა დადო, მოდელმა კაბა თავისით ჩაიცვა ანუ დაჭრის შემდეგ, უცხოს არ უცდია, კაბა მსხვერპლისთვის მოერგოო. ეს კი, იმას ნიშნავდა, რომ მოდელმა კაბა მოირგო და თან ვიღაცას სარდაფში მის საჩვენებლად გაჰყვა, მაგრამ ვის? პარალელურად, ექიმებმა საავადმყოფოდან დარეკეს და განაცხადეს, რომ გოგონა ოთხი კვირის ორსული იყო.

„თაყვანისმცემელი ჩემს ყველა გოგოს ჰყავს, მოდელები არიან და ეს გასაგებიცაა, მაგრამ მე არავის ვიცნობ. აქ მყავს ერთი ბიჭი დამხმარედ, მაგრამ მეეჭვება, მას გოგოები დიდად აინტერესებდეს. ყოველ შემთხვევაში, არ შემომჩნევია, ვინმეს „აბამდეს“ და არც გოგონებს უთქვამთ ოდესმე, გვაწუხებსო. ისე, ეს გოგონა, რომელიც დაჭრეს, მან იპოვა და მომიყვანა. პირველად მთხოვა ვიღაცის მიღება და მივიღე. როგორც ჩანს, არცთუ ტყუილად, ის ჩემი სპონსორი, სწორედ ამ გოგოზე გადაირია და მოითხოვა, რომ ყველაზე კარგი კაბა სწორედ მას ჩაეცვა“, – განაცხადა დიზაინერმა.

გამომძიებლებმა ბიჭი ინახულეს, მან თქვა, რომ ეს გოგო მისი ბავშვობის მეგობარი იყო, რომ სააგენტოში კარგი აღნაგობის გამო მოიყვანა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ დაჭრა და რატომ. მან ისიც თქვა, ეგებ, სპონსორმა იცოდეს რამე, მით უმეტეს, ამ გოგოს კარგად არ იცნობდა, მაგრამ დაიჟინა, გინდა თუ არა, დეფილეს დახურვის ანუ მთავარი კაბა მას უნდა ეცვასო. სამართალდამცავები ბიზნესმენს მიადგნენ.

„მე თავისუფალი კაცი ვარ, იმ მოდელთან, რომელიც გააგდეს, ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ბოლო დროს შანტაჟი დამიწყო, გინდა თუ არა, ცოლად მომიყვანეო, ბინა მიყიდეო... მე კიდევ, ცოლი რომ მინდოდეს, მის გარეშეც უკეთ მოვიყვან. ამიტომ, სააგენტოს მფლობელს ვუთხარი, ეგ გოგო აღარ დამანახო-მეთქი. რაც შეეხება მეორეს, შემთხვევით დავინახე, მანქანაში იმ ბიჭს კოცნიდა, იმავე სააგენტოში რომ მუშაობს. ჰოდა, ასე, ბრმად ავირჩიე. რაც შეეხება ორსულობას, შეგიძლიათ ყველანაირად შეამოწმოთ, გნებავთ ახლა, გნებავთ – მერე, როცა ბავშვი გაჩნდება, მე მასთან არაფერი მქონია“, – დაბეჯითებით განაცხადა ბიზნესმენმა.

ეს რაღაც ახალი იყო – ბიჭს არ უთქვამს, რომ გოგოსთან ურთიერთობა ჰქონდა. ამასობაში, საავადმყოფოდან დარეკეს და თქვეს, რომ გოგონა 15 წამით მოვიდა აზრზე და მამაკაცის სახელი თქვა. სახელი იმ ბიჭისას ემთხვეოდა, რომელიც სააგენტოში მუშაობდა. ძალოვნები მის დასაკავებლად გავიდნენ და მასაც წინააღმდეგობა არ გაუწევია.

„ეგ გოგო ბავშვობიდან მიყვარდა, თითქოს მასაც მოვწონდი. მერე სააგენტოში მოვაწყვე, მანამდე ურთერთობაც გვქონდა და მაშინ, როცა მეგონა, რომ ყველაფერი აგვეწყო, პირიქით მოხდა. გავიგე, რომ ორსულად იყო და როცა ვუთხარი, ვიქორწინოთ, ბავშვს გააჩენ-მეთქი, დამცინა, რა ბავშვი, ჯერ კარიერა უნდა ავიწყო და მერე ვინმე ბიზნესმენს ვნახავ, რაში მჭირდები ქმრად, ფული შენ არ გაქვს და ნორმალური სახლიო. ეს მაშინ მითხრა, როცა კაბის გამოტანა მთხოვა, მინდა მოვირგოო და სარდაფში ჩავედით. ვეღარ მოვითმინე და დანა დავარტყი. ჰო, ორსულ ქალს დავარტყი დანა იმიტომ, რომ სულში ჩამაფურთხა“, – განაცხადა დაკავებულმა.

გოგონას გადარჩენა მოხერხდა, მაგრამ მას წარმატებული სამოდელო კარიერა არ ჰქონია. ბავშვი კი... ბავშვი არ გააჩინა, აქაოდა, კრიმინალი მამის შვილი არ მინდაო.

პოლიციამ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის, მასში მონაწილეობისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ბრალდებით ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და იმერეთის რეგიონში, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის, მასში მონაწილეობისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს.

დაკავებული არიან: 1996 წელს დაბადებული ო.ც., 1990 წელს დაბადებული გ.მ., 1975 წელს დაბადებული ჯ.ა., 1996 წელს დაბადებული ა.ჭ. და უცხო ქვეყნის მოქალაქე, 1997 წელს დაბადებული რ.ს.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომპლექსურად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ბრალდებულები, რუსთაველის გამზირზე, მიმდინარე აქციების დროს, არ ემორჩილებოდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს, ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში და პოლიციელების მიმართულებით სხვადასხვა საგანს ისროდნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას მობილური ტელეფონები, კომპიუტერული ტექნიკა, სამხედრო ტანსაცმელი, აირწინაღები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ასევე, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, თბილისში, ოთხი პირის საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ჩატარდა, საიდანაც სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღები, დიდი ოდენობით თანხა, მეხსიერების ბარათები და კომპიუტერული ტექნიკა ამოიღეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და 239-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, მიმდინარე აქციების ფარგლებში სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 239-ე პრიმა მუხლებით, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობასა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდებას გულისხმობს, დაკავებულია 13 პირი, ხოლო აფეთქების მომზადების ბრალდებით – ერთი პირი.

ასევე, მიმდინარე აქციების ფარგლებში, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 353-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც, ამ დროისთვის დაკავებულია ცხრა პირი.

ბრიფინგი შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ალექსანდრე დარახველიძის ბრიფინგი:

„მოგეხსენებათ, უკვე ათ დღეზე მეტია, აქტიურად მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ასევე, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საზოგადოებამ ნათლად იხილა, მიმდინარე აქციების განმავლობაში არაერთი ძალადობრივი ფაქტი, მათ შორის, სამწუხაროდ, კვლავ დაფიქსირდა ძალადობრივი ფაქტები, რა დროსაც დაშავდნენ ჟურნალისტები. შინაგან საქმეთა სამინისტრო გმობს ყველა სახის ძალადობას და თითოეული უწყება გააკეთებს ყველაფერს, რათა თითოეული მოძალადე დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით. თითოეულ ძალადობრივ ფაქტზე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში, ასევე შესაბამის უწყებებში დაწყებულია გამოძიება და ხორციელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენისა და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

აქციების მსვლელობისას, საზოგადოება ნათლად ხედავდა, რომ როდესაც საპროტესტო აქცია ტარდებოდა კანონით დადგენილ მშვიდობიანი შეკრების ფარგლებში და არ ფიქსირდებოდა ძალადობრივი ფაქტები, შესაბამისად, პოლიციას არ უწევდა კანონით გათვალისწინებული ძალის გამოყენება, არ ხდებოდა სამართალდამრღვევი პირების დაკავება და შეკრების მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ საკუთარი პროტესტი კანონის ფარგლებში გამოეხატათ, თუმცა საზოგადოება ასევე ხედავდა ისეთ შეკრებებსაც, სადაც შეკრების მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი იყენებდა ძალადობრივ მეთოდებს, როგორც პოლიციელების მისამართით, ასევე დაფიქსირდა არაერთი ფაქტი მოქალაქეებთან დაპირისპირების.

ჩვენი თანამოქალაქეები ხედავდნენ ცეცხლმოკიდებულ საკანონმდებლო ორგანოს, დამწვარ და დამტვრეულ, როგორც კერძო პირების, ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ინფრასტრუქტურას – მათ შორის, სკამებს, ნაგვის ურნებს, საგზაო ნიშნებს, კარგად ჩანდა, როგორ ნადგურდებოდა კერძო მესაკუთრეთა ქონება.

ვიხილეთ რუსთაველის გამზირზე არსებულ ერთ-ერთ შენობაზე ხელოვნურად გაჩენილი ხანძარი, გარე კაფე-ბარების ინფრასტრუქტურის სრული განადგურება, ასევე ვანდალურად იქნა დარბეული რუსთაველის გამზირზე არსებული მაღაზიების ვიტრინები, დარბეული და გაძარცვულია მაღაზიები.

28 ნოემბრიდან დღემდე, აქციის მონაწილეების მიერ, რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა არაერთი დანაშაულებრივი ქმედება. მათ შორის, ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა რუსთაველის გამზირზე მდებარე „სვაროვსკის“ მაღაზიაზე, საიდანაც შავებში ჩაცმული შენიღბული და დანით შეიარაღებული პირის მიერ გატაცებულია ძვირადღირებული ნივთები, ასევე დაფიქსირდა ქურდობის 60-მდე ფაქტი, მათ შორის, სავაჭრო ცენტრიდან, მაღაზიებიდან, ღია ბარებიდან, რესტორნებიდან და სუპერმარკეტებიდან.

მოპარულია სხვადასხვა სახის ინვენტარი, ფულადი თანხა, ტანსაცმელი და სხვადასხვა ნივთი. რუსთაველის გამზირზე მდებარე სხვადასხვა ობიექტიდან დაფიქსირდა სხვადასხვა ინვენტარის, მათ შორის, ბანკომატებისა და ჩასარიცხი აპარატების ჯერ გატაცების, შემდგომში კი მათი ბარიკადებად გამოყენების ფაქტები.

ათეულობით ფაქტია დაფიქსირებული პირადი ნივთების ქურდობის. მოქალაქეები და კერძო მეწარმეები აფიქსირებენ შეტყობინებებს მანქანების, მოტოციკლეტების, სქროლების, გარე ავეჯისა და ინვენტარის დაზიანების თაობაზე. დამტვრეულია და დაზიანებულია პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების“, ასევე, მაღაზიების – „ბოსის“, „თაიმისა“ და „სუფთა სახლის“ გარე ფასადები.

კერძო პირებისა და სახელმწიფოსთვის დანაშაულებრივი გზით მიყენებული ზარალი ასიათასობით ლარს აღემატება.

საზოგადოებამ პირდაპირ ეთერებში იხილა, აქციის მონაწილეები მიზანმიმართულად როგორ ანადგურებდნენ რუსთაველის გამზირზე განთავსებულ, როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებს, რათა შემდგომში ხელი შეეშალათ პოლიციის მხრიდან დანაშაულის სწრაფი და ეფექტური გამოძიებისთვის. აღნიშნულით ზარალი მიადგა, როგორც კერძო პირებს, ასევე, სახელმწიფოს. ამასთან, არაერთი ფაქტი დაფიქსირდა ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მოქალაქეებზე თავდასხმისა და შეურაცხყოფის.

აქციის მოძალადე ჯგუფები მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად აქტიურად იყენებდნენ პიროტექნიკას, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებს, ისინი შეიარაღებულნი იყვნენ სხვადასხვა საგნით, მათ შორის, რკინისა და ხის ხელკეტებით, კასტეტებით, ასევე თავდასხმების განსახორციელებლად აქტიურად იყენებდნენ ე.წ. შურდულებს, რითაც დამიზნებით ისროდნენ რკინის საგნებსა და მიზანმიმართულად აზიანებდნენ, როგორც საპოლიციო ტექნიკას, ასევე, თავს ესხმოდნენ პოლიციელებს.

ამ ქმედებების შედეგად, დაშავებულია 150-ზე მეტი პოლიციელი, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიები, აქციის მონაწილეები და ზოგიერთი მედია საშუალებები არ საუბრობენ და ვერც აღნიშნული ფაქტის დაგმობა ნახა საზოგადოებამ.

აქციების მიმდინარეობისას, მოძალადე ჯგუფების მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად, თითქმის ყველა დაშავებულ პოლიციელს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მათ დიდ ნაწილს კი ქირურგიული ჩარევაც დასჭირდა. პოლიციის თანამშრომლების უმეტესობას აქვს სხვადასხვა სახის დამწვრობა, მოტეხილობები, ტრავმები – თავისა და სახის არეში.

მარტივი ანალიზიც კი ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული ძალადობის წამახალისებელი და განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება ყოფილიყო დაუსჯელობის განცდა, რაც ძალადობრივი ქმედებების ჩამდენ პირებს, სწორედ სახის დაფარვისა და იდენტიფიცირების შეუძლებლობა უჩენდათ. აღნიშნული ცალსახად, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ წინასწარ მომზადებას და სწავლებას, რომელიც აქციის მონაწილეებმა გაიარეს.

დასკვნის საფუძველს გვაძლევს, ასევე, წინა წლების პრაქტიკა, როდესაც მოძალადე ჯგუფების სისხლის სამართლებრივი წესით დასჯა ვერ მოხერხდა შენიღბული მოძალადე ჯგუფების ამოცნობის შეუძლებლობის გამო.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრება-მანიფესტაციის უზრუნველყოფა, რისთვისაც საჭიროა, როგორც საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, ასევე, შეკრება-მანიფესტაციების დროს, მოძალადე ჯგუფების დროული იდენტიფიცირება, მათი გამოვლენა და დასჯა, რაც საბოლოო ჯამში, შეკრება-მანიფესტაციების დროს, დანაშაულის პრევენციას განაპირობებს. სწორედ ამიტომ, შინაგან საქმეთა სამინისტრო მიესალმება პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, შეკრება-მანიფესტაციებზე ე.წ. ნიღბების აკრძალვის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შეკრება-მანიფესტაციების დროს, ნიღბებისა და იმგვარი სამოსის ტარების აკრძალვა, რომელიც გამორიცხავს პირის იდენტიფიცირებას, არაერთ ევროპულ ქვეყანაში მოქმედ პრაქტიკას წარმოადგენს.

მაგალითისათვის, გერმანიაში 1985 წლიდან მოქმედებს მსგავსი კანონი. ასევე, აქციის ფარგლებში, ნიღბების აკრძალვის კანონი მოქმედებს ავსტრიაში, კანადაში, იტალიაში, ესპანეთსა და ბელგიაში. ასევე, არაერთ ევროპულ ქვეყანაში აკრძალულია საჯარო სივრცეში სხვადასხვა ფორმით სახის დაფარვა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შეკრება-მანიფესტაციების მშვიდობიან გარემოში ჩატარებას, აქციის მოძალადე ჯგუფებს მოუსპობს დაუსჯელობის განცდას და პოლიციას საშუალებას მისცემს, დროულად მოახდინოს დამნაშავე პირების იდენტიფიცირება და მათი სათანადო წესით დასჯა.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 28 ნოემბრიდან დღემდე გამართული აქციის ფარგლებში, სისხლის სამართლებრივი წესით გამოვლენილი და შესაბამის პასუხისგებაშია მიცემული 30-ზე მეტი პირი.

ასევე, ადმინისტრაციული წესით დაკავებულია და საქმისწარმოება დაწყებულია 372 პირის მიმართ, საიდანაც 62 პირის მიმართ უკვე გამოყენებულია ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო 100-ზე მეტი პირის მიმართ ჯარიმა, როგორც სახდელის სახე. დანარჩენი პირების მიმართ აქტიურად გრძელდება სასამართლო განხილვები.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ შეკრება-მანიფესტაციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, პროტესტი გამოხატონ მშვიდობიანი შეკრების კანონით დადგენილ ფარგლებში, პოლიცია გააკეთებს ყველაფერს, რათა დაიცვას თითოეული მშვიდობიანი მომიტინგის შეკრება-მანიფესტაციის უფლება“.

მიქაუტაძემ ისევ გაიტანა, „ნაპოლიმ“ მეორედ წააგო

გასული უქმეები საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებისთვის, დიდად წარმატებული ვერ გამოდგა. უფრო ზუსტად კი, ჩვენებურების კლუბებმა პრინციპული შეხვედრები დათმეს და ჩვენც რიგითობით მივყვეთ.

შუა კვირაში, ქვეყნის თასზე, „ნაპოლიმ“ „ლაციოსთან“ გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა და ცხადი გახდა, რომ გუნდის თავკაცი ანტონიო კონტე ჩემპიონობას უმიზნებს და თასი ნაკლებად აინტერესებს. იმ შეხვედრაში არ უთამაშია ხვიჩა კვარახელიას, თუმცა ქართველი ძირითადში უკვე სერია A-ს ეგიდით გამართულ შეხვედრაში იყო, მაგრამ კარგი ასპარეზობის მიუხედავად, ნეაპოლელებმა რომაელებთან საჩემპიონატო მატჩიც წააგეს. გულს მხოლოდ იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ ხვიჩა თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ნამატჩევს ყველ ამბობდა, რომ მსაჯს მეტი პრინციპულობა მართებდა, რადგან ქართველს ფეხებში უმოწყალოდ ურტყამდნენ და არბიტრი ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევდა.

საბა გოგლიჩიძის „ემპოლიმ“, „ვერონას“ გადაურბინა და დიდი ანგარიშით მოუგო. ტრავმის შემდეგ დაბრუნებული ქართველი მცველი კვლავ ძირითად შემადგენლობაში იყო და ისევ შეუცვლელად ითამაშა.

„ანჟერთან“ გასვლით შეხვედრაში გაიბრწყინა გიორგი მიქაუტაძემ. მართალია, ის შეცვლაზე შევიდა, მაგრამ თამაშში ძალიან აქტიურად ჩაერთო და მესამე გოლი სწორედ მის ანგარიშზეა. თანაც, გოლიც არის და გოლიც – გიორგიმ სამი მეტოქე გააცურა და მახვილი კუთხიდან აუღებელი დაარტყა. ნამატჩევს არაერთმა გამოცემამ დაწერა, ქართველი ძირითად შემადგენლობას იმსახურებსო, მაგრამ მის ადგილზე, ძირითადში, „ლიონის“ კაპიტანი, ალექსანდრ ლაკაზეტი თამაშობს და მისი ამოგდება ძალიან ძნელი იქნება.

„მარსელთან“ სრული მატჩი ჩაატარა ზურიკო დავითაშვილმა, თუმცა მისი „სენტ ეტიენი“ 0:2 დამარცხდა. ზურიკო თანაგუნდელთა შორის საუკეთესო კი იყო, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათია – „სენტ ეტიენი“ გასავარდნ ზონაშია და ახლა გუნდისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

ოთარ კიტეიშვილის აკპიტნოპბით, „შტურმმა“ სტუმრად „ტიროლი“ დაამარცხა და თან ისე, რომ მეორე ტაიმი ქართველის გუნდმა 10 კაცით ჩაატარა. კიტემ სრულად ითამაშა და საგოლე გადაცემაც მიითვალა. მისი გუნდი ჩემპიონატს ლიდერობს, თუმცა გრაცელებს კვალში „აუსტრია“ ჩაუდგათ, რომელმაც ბოლო რვა შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმის დაგროვება მოახერხა.

ზედიზედ მეორე მარცხი განიცადა ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუემ“ და გუნდი მე-9 ადგილამდე დაეშვა, თუმცა, მეორე ბუნდესლიგაში ისეთი სიმჭიდროვეა, რომ სანუკვარ პირველ ადგილს, მხოლოდ 4 ქულა აშორებთ. ბუდუმ სრულად ითამაშა, გოლიც გაიტანა, მაგრამ VAR-მა თამაშგარეს გამო გააუქმა.

გიორგი წიტაიშვილის „გრანადამ“, სეგუნდადივიზიონის ლიდერი „რასინგი“ დაამარცხა. ქართველი ძირითადში იყო და მწვრთნელმა მატჩის მიწურულს შეცვალა. იმავე სეგუნდადივიზიონში, დასანანი მარცხი იწვნია გიორგი ქოჩორაშვილის „ლევანტემ“. გასვლით შეხვედრაში, 90-ე წუთამდე ფრე იყო, 91-ზე მწვრთნელმა ქოჩორა შეცვალა და ორ წუთში, მისმა გუნდმა გოლიც მიიღო.

„ლიონმა“ „იუვენტუსს“ მიქაუტაძე არ მიჰყიდა

როგორც ფრანგული გამოცემები წერენ, ტურინის „იუვენტუსს“ „ლიონიდან“ გიუორგი მიქაუტაძის გადაბირება სურს და ფრანგებს ოფიციალური წინადადებითაც მიმართა. ერთი შეხედვით, ტრანსფერი რომ გამოსულიყო, არ უნდა გაგვკვირვებოდა, რადგან 20 მილიონად ნაყიდი ფეხბურთელი, ლიონელებს ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ჰყავთ და სწორედ ამდენს იხდიდა „ბებერი სინიორაც“, მაგრამ გარიგება არ შედგება.

„მიქაუტაძე „ლიონის“ ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელია და გამორიცხულია, ის გავყიდოთ. მეტიც, სეზონის დარჩენილ პერიოდში, მის ბევრად უფრო აქტიურად გამოყენებას ვაპირებთ. გიორგიმ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ დროს მზად არის მოედანზე შევიდეს და გუნდს დაეხმაროს. მიმდინარე სეზონში, „ლიონს“, როგორც ევროპაში, ისე შიდა ჩემპიონატში, დიდი გეგმები და მიზნები აქვს, ამიტომ ჟორჟის ყოლა აუცილებელია“, – ასეთია გუნდის პასუხი, თუმცა...

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სეზონის ბოლოს, როცა „ლიონს“ 505 მილიონის გადახდა მოუწევს, იძულებული იქნება, რამდენიმე ფეხბურთელს შეელიოს და მათ შორის, შესაძლოა, მიქაუტაძეც მოხვდეს.

მაისურაძე ვერცხლით დაბრუნდა

დისკვალიფიკაციის შემდეგ, ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი, ლუკა მაისურაძე ტატამს დაუბრუნდა და თან როგორ – ის ტოკიოში, ძიგარო კანოს სახელობის ტურნირზე გამოვიდა. ტოკიოს გრანდ სლემზე ასპარეზობა მარტივი არ არის, რადგან მასპინძელ იაპონელებს, თითო წონაში 4 ძიუდოისტის დაყენების უფლება აქვთ და ამას მუდმივად იყენებენ, რათა სამშობლოდან ვინმეს ოქროს მედალი არ გაატანონ.

წინა ტურნირზე, მაისურაძე ფინალში გავიდა, სადაც სანშირო მურაოსთან დამარცხდა. ეს ის მურაოა, რომელსაც ლაშა ბექაურმა ოლიმპიადის ფინალი მოუგო. სამწუხაროდ, ლუკამ ლეგენდარულ ძიუდოისტთან, მეორე ფინალიც წააგო და ისევ ვერცხლის მედალს დასჯერდა, მაგრამ ის, რომ მაისურაძე დაბრუნების შემდეგ, ასეთი დონის ტურნირზე ფინალში გავიდა, უკვე მისასალმებელია.

19 იანვარს, დვალიშვილი ქამარს დაიცავს



2025 წლის 19 იანვარს, მერაბ დვალიშვილი, UFC-ს სუპერმსუბუქი წონის კატეგორიაში ქამრის დაცვას შეეცდება, მისი მეტოქე უმარ ნურმაგომედოვია, რომელთან შეხვედრასაც ყველა პროგნოზირებდა. რა გახდა გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, UFC-ს შეფმა, დანა უაითმა ახსნა.

„ვფიქრობ, არაჩვეულებრივი ბრძოლა ჩაინიშნა და უძლიერესი გაიმარჯვებს. მერაბი ჩემთან სამშაბათს იყო მოსული და მთხოვა, რომ უმართან ბრძლა რაც შეიძლება მალე ჩამენიშნა. რაც შეეხება უმარს, მას დაღესტანში ღამით დავურეკე და მისი პასუხი ასეთი იყოს – „ეშმაკმა დალახვროს... რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას“.

ასე რომ, გულშემატკივრები საოცარ ორთაბრძოლას ნახავენ.

კომენტარი გააკეთა უმარის ბიძაშვილმა, ლეგენდარულმა ვეტერანმა მებრძოლმა ხაბიბ ნურმაგომედოვმაც:

„ამ დღეს ქამრისთვის კიდევ ერთი დაღესტნელი იბრძლებს. პირველად ხდება, რომ დაღესტანში, ერთდროულად, ორი ქამრის წაღება შეგვიძლია და იმედია, ასეც მოხდება“.

დვალიშვილს UFC-ში 18 ბრძოლის წილ, 4 მარცხი აქვს (ქართველ მებრძოლს ბოლო 11 შეხვედრა არ წაუგია), ხოლო ნურმაგომედოვის ანგარიშზე 18 შეხვედრა და ამდენივე გამარჯვებაა. იმედია, ნურმაგომედოვი პირველ მარცხს სწორედ 19 იანვარს იგემებს.

„სპაერმა“ ისტორია დაწერა

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში მეორელიგელი „სპაერისა“ და თბილისის „დინამოს“ დაპირისპირების უპირობო ფავორიტი, რაღა თქმა უნდა, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი იყო. ის, რომ „სპაერი“ ფინალში გავიდა, უკვე უდიდეს სენსაციად შეირაცხა, რადგან მეორე ლიგის გუნდს, მანამდე ერთადერთხელ ჰქონდა თასი მოგებული (2011 წელს, ეს „გაგრამ“ მოახერხა).

შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, 2:2 დასრულდა და დაინიშნა საფეხბურთო ლატარეა ანუ პენალტების სერია, რომელშიც უფრო ზუსტი „სპაერის“ ფეხბურთელები აღმოჩდნენ და არსებობის არც თუ დიდხნიან ისტორიაში, პირველი ტიტული მოიპოვეს. რაც შეეხება „დინამოს“, მას ჩავარდნილი სეზონის გადარჩენის შანსი, სწორედ თასის მოგებით ჰქონდა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა, სეზონი მეშვიდე ადგილზე დაასრულა და გაისად ვერც ევროთასებზე ითმაშებს. ისე კი, „სპაერი“ მე-13 კლუბია, რომელსაც საქართველოს თასი აქვს მოგებული. რაც შეეხება დანარჩენებს, ეს ტიტული თავის დროზე შემდეგმა კლუბებმა მოიგეს: „დინამო“ თბილისი – 13, „ტორპედო“ – 5, „ლოკომოტივი“ – 3, „იბერია 1999“ (ყოფილი „საბურთალო“) – 3, „ამერი“ – 2, „გაგრა“ – 2, „დინამო“ (ბათუმი) – 1, „ზესტაფონი“ – 1, „ჩიხურა“ – 1, „გურია“ – 1, „ვიტ ჯორჯია“ – 1, „დილა“ – 1, „სპაერი“ – 1.

ბაღიშვილმა პრინციპულ ბრძოლაში, რუსი მეტოქე დაამარცხა



ქართველი მებრძლი ქალი სოფია ბაღიშვილი ბიშკეკში გამართულ ტურნირში საასპარეზოდ განსაკუთრებით ემზადებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ კარიერაში პირველად, სოფიას ზედიზედ სამი მარცხი დაუგროვდა და მისთვის ამ ორთაბრძოლის მოგება კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახლდათ. მისი მეტოქე გამოცდილი რუსი მებრძლი, მარინა შუტოვა იყო და ფავორიტადაც სწორედ ის მიიჩნეოდა, თუმცა სოფიამ მტკივნეული ილეთით მოახერხა გამარჯვების მოპოვება.

„ყველამ იცის, საქართველოში რა ხდება. საპროტესტო აქციები მიმდინარეობს და დიდი პრობლემები გვაქვს. მინდა, ეს გამარჯვება ჩემს სამშობლოს, საქართველოს და აგრეთვე, ჩემს მეორე ქვეყანას, უკრაინას მივუძღვნა“, – განაცხადა გამარჯვების შემდეგ, ბაღიშვილმა.

ასადების სისხლიანი ოჯახის აღზევება და დაცემა

მე-9 გვერდიდან

დენტო რეფერენდუმში ბაშარ ასადმა ხმათა 97% მიიღო – ის ერთადერთი კანდიდატი იყო. რეჟიმის ტრადიციული მხარდამჭერების გარდა, ბაშარ ასადს მხარს უჭერდა ქვეყნის ახალგაზრდობის დიდი ნაწილიც. ამ პერიოდში შედგა ერთგვარად ახალი სოციალური ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ხალხი ივიწყებდა რეჟიმის შეცდომებს ახალი, დემოკრატიული დასაწყისის იმედად.

მართლაც, ბაშარ ასადის გაპრეზიდენტებიდან პირველ ას დღეში, ქვეყანაში რამდენიმე რეფორმა განხორციელდა: შესუსტდა სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკაზე, გაიხსნა ალეპოს ფინანსური ბირჟა, ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტი, ქვეყანა გაიხსნა ტურისტებისთვის, პირველად ქვეყნის ისტორიაში შესუსტდა კონტროლი პრესაზე და შესაძლებელი გახდა ხელისუფლების კრიტიკა. ამავე პერიოდში, პირველად სირიის ისტორიაში ქვეყნის პრეზიდენტმა ადგილობრივ ჟურნალისტს მისცა ინტერვიუ. ეს ჟურნალისტი იყო იბრაჰიმ ჰამიდი.

ბაშარ ასადმა, მამისგან განსხვავებით, უარი განაცხადა თავისი ძეგლების აღმართვასა და პორტრეტების გამოფენაზე. მმართველობის პირველ თვეებში განხორციელებულმა რეფორმებმა ბაშარ ასადს პოზიტიური იმიჯი შესძინა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო არენაზე. პირველი ლედის რანგში აქტიურობა დაიწყო ასმა ასადმა. ბაშარის გაპრეზიდენტებიდან მალევე, ასმამ ინკოგნიტოდ შემოიარა ქვეყანა, ხვდებოდა უბრალო მოქალაქეებს. ასმას მზარდი როლით უკმაყოფილოები იყვნენ ასადების ოჯახის სხვა ქალები, კერძოდ, ბუშრა და ბაშარის დედა ანისა. მომდევნო წლებში, ქალებს შორის უთანხმოება სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა.

ბაშარი გარკვევით არ ჰგავდა მამას, განსხვავდებოდა ქცევითაც და ხასიათითაც, თუმცა იყო მსგავსებებიც. სირიაში ცნობილია იგავი ჰამბურგერის გამყიდველის შესახებ, რომელიც მყიდველს ჰამბურგერს უკეთებს და კარგ ფასსაც ართმევს, მაგრამ ბოლო მომენტში, ბურგერიდან აძრობს ძაფზე გამობმულ ხორცს. სწორედ ამ ანეკდოტით ხსნის ბაშარ ასადის ფსიქოტიპს და პოლიტიკურ ხასიათს მისი ყოფილი მრჩეველი სამირ ალ-ტაქი: **„მისთვის პოლიტიკაში არ არსებობს სანდო და მყარი ურთიერთობები, ღიაობა და თანამშრომლობა. იგი ყოველ ჯერზე ჰამბურგერის გამყიდველივით იქცევა, ცდილობს, ძვირად გაყიდოს ბურგერი, მაგრამ ბოლო წუთში, იქიდან ხორცს აცლის. მისი აზრით, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს კარგი პოლიტიკოსი“.**

ალტაქის თქმით, ეს ტრიუკი ბაშარს ჰაფეზმა ასწავლა და მომდევნო წლებში ბაშარმა იგი არაერთხელ გამოიყენა.

ბაშარის მიერ წამოწყებულ რეფორმებთან ფლირტის პროცესისთვის საბედისწერო ტესტად იქცა 2001 წლის 11 სექტემბერი. ამ დღეს ნიუ იორკსა და ვაშინგტონში ალ-ქაიდას მიერ ორგანიზებულ შეტევებს 3 ათასამდე მშვიდობიანი ამერიკელი ემსხვერპლა. რის შემდეგაც, აშშ-მ ტერორიზმს გლობალური ომი გამოუცხადა. ტერაქტის ორგანიზატორების დიდი ნაწილი თავს ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთს აფარებდა. შესაბამისად, ამ ომში სირიის პოზიციას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ტერორიზმთან ომში სირიის გადმობირებას შეეცადა დიდი ბრიტანეთის მაშინდელი პრემიერი ტონი ბლერი. ეს იყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პირველი ვიზიტი სირიაში. შეხვედრამ ძალიან მეგობრულ გარემოში ჩაიარა, ბაშარ ასადმა ტონი ბლერი დამასკოს მთავარ მეჩეთში წაიყვანა. პრივატულ გარემოში, ასადმა დაგმო ტერორიზმი და ბლერს სირიის მხარდაჭერა აღუთქვა, თუმცა უკვე შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, სირიის პრეზიდენტმა რადიკალურად განსხვავებული პოზიცია დაიჭირა, ასადმა მამისგან ნასწავლი ტრიუკი ჩაატარა...

გავიდა წლები და... ე.წ. არაბული გაზაფხულის შედეგად, რეგიონმა არნახული მასშტაბის პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა. ამ პერიოდში, ხელისუფლება შეიცვალა ოთხ სახელწიფოში, მათ შორის, ტუნისშიც. სამოქალაქო დაპირისპირებამ იფეთქა სირიასა და ბაჰრეინში, რეგიონის კიდევ შვიდ სახელმწიფოში მასობრივი

სამოქალაქო პროტესტი დაიწყო.

მოვლენები ყველაზე დრამატულად სირიაში განვითარდა, სადაც ასადების მრავალწლიანი დინასტიის ფიზიკურად გადარჩენის საკითხი დადგა.

„ასადები, თორემ გადავწვავთ ქვეყანას“ – ამ შინაარსის წარწერებს ხშირად შეხვდებოდით სირიის სამთავრობო არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებსა და შენობებზე, ეს ფრაზა კარგად გამოხატავს რეჟიმის მთავარ ლოზუნგს და, ამავდროულად, არის ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ წარიმართა სირიის სამოქალაქო კონფლიქტი.

არაბულმა გაზაფხულმა სირიაში 2011 წლის მარტში ჩააღწია, თუმცა თავიდან რეჟიმი რევოლუციის საშიშროებას ჯიუტად უარყოფდა. ერთი შეხედვით, წყნარ სირიაში პრობლემები ქვეყნის სამხრეთში მდებარე დერაის პროვინციაში, სკოლის მოსწავლეების მიერ კედელზე დახატული სტენსილით დაიწყო. 14-15 წლის ბავშვებმა სკოლის კედელზე დაწერეს: „შემდეგი შენ ხარ, ექიმო“. ბავშვები მეორე დღესვე დააკავეს და პოლიციის ადგილობრივ განყოფილებაში წაიყვანეს. მოზარდები დააპატიმრეს, ისინი სასტიკად აწამეს, მათ დააძრეს ფრჩხილები და სცემეს. ბავშვების გამოსახსენელად, მშობლები და მათი ახლობლები დერაის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან, ატეფ ნაჯიბთან მივიდნენ, რომელიც ბაშარ ასადის გარე ბიძაშვილია. მოზარდების გათავისუფლების თხოვნაზე ნაჯიბმა მათ მამებს მოუწოდა, ცოლები მე მომიყვანეთ იმისათვის, რომ ნორმალური შთამომავლობა გეყოლოთო.

უსამართლობითა და ჩინოვნიკების სისასტიკით აღფშფოთებულმა მშობლებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს... დაიწყო სამოქალაქო მშვიდობიანი აქციების დახვრეტა. მარტში, დერაის პროვინციაში, 100-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

მოკლედ, მითები ბაშარ ასადის რეფორმატორობის შესახებ საბოლოოდ დაიმსხვრა და გასაგები გახდა, რომ სირია „არაბული გაზაფხულის“ ეპიცენტრი გახდებოდა, თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა იმ კატასტროფის მასშტაბს, რომელიც სირიაში მომდევნო წლებში დატრიალდა. ასადის გადაწყვეტილების შესახებ საუბრისას, აშშ-ის თავდაცვის იმდროინდელი მინისტრი, ლეონ პანეტა ამბობდა, რომ გადამწყვეტი გავლენა ბაშარზე ისევ დედამისმა, ანისამ მოახდინა. ანისამ კვლავ წამოსწია მამის აჩრდილი და ამბოხების ჩახშობა არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ, ოჯახის მოვალეობად წარმოადგინა – ბაშარი მამისა და მთელი ოჯახის წინაშე იყო ვალდებული, დარჩენილიყო ძალაუფლებაში.

... 2014-2015 წლებში, სირიის სამოქალაქო კონფლიქტმა იმგვარი სახე მიიღო, რომელშიც ბაშარ ასადი უკვე აღარ მოჩანდა ყველაზე დიდ საფრთხედ და ბოროტებად. ეს ნიშა მთლიანად დაიკავა ისლამურმა სახელმწიფომ. სწორედ ამ კვაზი-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის განადგურებაზე დაიხარჯა აშშ-ისა და დასავლური სახელმწიფოების ძალისხმევა. იმ დროს, როდესაც ამერიკელები ავიადარტყმებით, ხოლო მათ მიერ განწვრთნილი და აღჭურვილი ქურთული შენაერთები ისლამურ სახელმწიფოს ანადგურებდნენ, სირიის რეჟიმი და რუსეთი ზომიერ ოპოზიციას ულეტდნენ.

2015 წელს, სირიის სამოქალაქო ომში რუსეთი პირდაპირ ჩაერთო, რამაც რეჟიმს სირიის ზეცაზე სრული მონოპოლია გაუნაღდა. მიწაზე პროირანულმა დაჯგუფებებმა და ზეცაში რუსულმა ბომბდამშენებმა რეჟიმთან წარმატებული ბრძოლის ყველანაირი შანსი გაანადგურეს. მოგვიანებით, მთელმა მსოფლიომ იხილა, თუ როგორ დაეცა სირიის „სტალინგრადი“ – ალეპო, რომლის აღმოსავლეთ ნაწილსაც ამბოხებულები აკონტროლებენ. სამთავრობო ალყისა და რუსეთის ავიაიერეშების ქვეშ ქალაქი პრაქტიკულად სისხლისგან დაიცალა.

... 2019 წლის ოქტომბერში, რუსეთის სახელმწიფო პროპაგანდისტულ არხებზე, ერთმანეთის მიყოლებით ერთვებოდნენ ჟურნალისტები, რომლებიც ამერიკელების ყოფილ ბაზებზე იმყოფებოდნენ. ისინი უჩვენებდნენ ამერიკელი ჯარისკაცების ბაზებს, რომელიც ამერიკელებმა რამდენიმე საათით ადრე დატოვეს. ამერიკელების გასვლის შემდეგ ამ პროვინციებში რუსი სამხედროები შევიდნენ. ცხადია, რუსული პროპაგანდა ამას ნაციონალურ გამარჯვებად და ამერიკელების გაქცევად წარმოაჩენდა. ამერიკელებმა ბაზები ისეთ სიჩქარეში დატოვეს, რომ ამუნიციის წაღებაც ვერ მოასწრეს და მათი აფეთქება მოუწიათ.

ამერიკელების გასვლამ სასიკვდილო რისკი შეუქმნა ქურთებს, რომლებიც ამერიკელების ყველაზე სანდო პარტნიორები იყვნენ. მხოლოდ ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას 11 ათასამდე ქურთი მებრძოლი შეეწირა. ამ დროისთვის, სირიის რეჟიმი აკონტროლებს თითქმის ყველა პროვინციას, ერთადერთ აჯანყებულ ანკლავად თურქეთის მოსაზღვრე იდლიბის პროვინცია რჩება, რომელშიც ასადის შურისძიებას გამოქცეული 3 მილიონი დევნილი აფარებს თავს.

მოკლედ, ასე გახდა ექიმი ასიათასობით ადამიანის სიკვდილის მიზეზი, ექიმი, რომელიც ოდესღაც უსინათლოებისთვის თვალის ახელაზე ოცნებობდა...

ელტონ ჯონმა მხედველობა დაკარგა



77 წლის ბრიტანელმა ლეგენდარულმა მუსიკოსმა ცოტა ხნის წინ გამართულ მიღებაზე აღიარა, რომ მხედველობა დაკარგა. საქველმოქმედო გალა-კონცერტი „ეშმაკი ატარებს პრადას“ – მუზიკლი – ლონდონის „დომინიონის“ თეატრში შედგა, რომლის მუსიკაც სერ ელტონ ჯონმა დაწერა. სტუმრებთან გამოსულმა ელტონ ჯონმა განაცხადა, რომ მას პრობლემები ჰქონდა მხედველობასთან დაკავშირებით, ახლა კი საერთოდ დაბრმავდა. „ვერ შევძელი გამოსვლის ნახვა, მაგრამ მისი მოსმენა მომეწონა“, – თქვა მუსიკოსმა. გრემის არაერთგზის ლაურეატმა მადლობა გადაუხადა პარტნიორს, დევიდ ფერნიშს, რომელიც ამ სირთულის გადალახვაში დაეხმარა და დასძინა, რომ ის იყო მისი საყრდენი. მიუზიკლში მირანდა პრისტლის როლს ვანესა უილიამსი ასრულებს. ამ საქველმოქმედო საღამომ ლონდონში დიდი ვარსკვლავური აუდიტორია შეკრიბა, მათ შორის, იყვნენ Vogue-ის მთავარი რედაქტორი ანა ვინტური, ლილი კოლინზი და ელიზაბეტ ჰერლი. „ახლა გამოჯანმრთელების გზაზე ვარ, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიდის. არ ვიცი, რა დრო დასჭირდება, ვიდრე დაზიანებულ თვალს მხედველობა დაუბრუნდება“, – განაცხადა მუსიკოსმა.

მომავალი წლის ფერი აირჩიეს

Pantone-ს ინსტიტუტმა, რომელიც ყოველწლიურად, მომავალი წლის ფერს ირჩევს, არც ამჯერედ უღალატა ტრადიციას და 2025 წლის ფერი დაადგინა. ეს შოკოლადის-ფერ-ყავისფერი ელფერი „მოკო მუსია“ (Mocha Mousse). სპეციალისტების თქმით, ის ასახავს „პატარა გამასპინძლების კულტურას“ და კომფორტისა და სითბოს შეგრძნებას იწვევს. „როდესაც წელს, შერჩევის პროცესი დავიწყეთ, ერთ-ერთი მომენტი, რომელიც მუდმივად გვახსენებდა თავს, ჰარმონიისადმი სწრაფვა იყო“, – ამბობს ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, ლორი პრესმანი.

Pantone-ს ვერსიით, შერჩეული წლის ფერი გავლენას ახდენს პროდუქციის შემუშავებასა და მის გაყიდვებზე ბევრ სფეროში, მათ შორის, მოდის ინდუსტრიაში, სახლის ავეჯის შექმნისას, გრაფიკულ და სამრეწველო დიზაინში და პროდუქტების შეფუთვის სფეროშიც. შეგახსენებთ, რომ ინსტიტუტმა შარშან, 2024 წლის ფერად „ატმისფერი ბუმბული“ დაასახელა, რომელიც სინაზის, მზრუნველობისა და თანამშრომლობის სიმბოლო იყო.

NASA-ს მილიარდერი უხელმძღვანელებს

აშშ-ის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელად მილიარდერი ასტრონავტი, კოსმოსური ტურისტი, ჯარედ აიზეკმანი დაასახელა. „მოხარული ვარ, NASA-ს ხელმძღვანელად აღიარებული ბიზნეს-ლიდერი, ქველმოქმედი, მფრინავი და ასტრონავტი ჯარედ აიზეკმანი დავასახელო. ის სააგენტოს მისიას კრეატიულობითა და შთაგონებით უხელმძღვანელებს და გზას გაუხსნის რევოლუციურ წინსვლას კოსმოსურ მეცნიერებაში“, – ნათქვამია ტრამპის განცხადებაში. თუკი სენატი მის კანდიდატურას დაამტკიცებს, აიზეკმანი, რომელსაც მთავრობასა და პოლიტიკაში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს, NASA-ს 25-მილიარდიან ბიუჯეტს გააკონტროლებს. სააგენტოს ამჟამად ბილ ნელსონი ხელმძღვანელობს. რამდენიმე თვის წინ, აიზეკმანმა პირველ კომერციულ კოსმოსურ მისიაში მიიღო მონაწილეობა, რომლის დროსაც არაპროფესიონალი ასტრონავტები ღია კოსმოსში პირველად გავიდნენ.

ქორწილში ფულის შლეიფი გაიკეთა

პაკისტანის მცხოვრებმა მამაკაცმა, საკუთარ ქორწილში, ტანსაცმელზე ათმეტრიანი შლეიფი დაიმაგრა, რომელიც ფულის ბანკნოტებისგან იყო დამზადებული. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ეს უჩვეულო აქსესუარი სიძეს საკუთარმა ძმამ აჩუქა. ფულის შლეიფის შესაქმნელად, 2 ათასი კუპიურა დაიხარჯა – 50 და 75 რუპიის ნომინალით. მთლიანობაში თანხა 100 ათასი პაკისტანური მანათი იყო. ამ უჩვეულო საქორწინო აქსესუარმა ცერემონიის ჩატარების ადგილი თითქმის მთლიანად დაიკავა, შლეიფის გადატანაში კი სიძეს მამაკაცების ჯგუფი ეხმარებოდა.

რომის პაპს ელექტროკაბრიოლეტი დაუმზადეს

Mercedes-Benz-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, რომის პაპ ფრანცისკეს G-Class-ის ახალი ელექტრო-კაბრიოლეტი გადასცა. საავტომობილო კომპანია, ეგრეთ წოდებულ, პაპ-მობილებს უკვე ასი წელია, აწარმოებს. აქამდე პაპი ყოველკვირეული საერთო აუდენციის დროს, ბენზინზე მომუშავე ავტომობილებს იყენებდა. ახალ ავტოზე, რომელსაც პონტიფიკოსის საჭიროებები უნდა დაეკმაყოფილებინა, Mercedes-Benz ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა, ვატიკანის წარმომადგენლებთან ერთად. ერთ-ერთი პრიორიტეტი ნულოვანი გამონაბოლქვი იყო. ახალი კაბრიოლეტი მბრუნავი სავარძლით არის აღჭურვილი. სავალი ნაწილებიც სპეციალურად, წმინდა პეტრეს მოედანზე ნელი მოძრაობებისთვის არის შექმნილი. უამინდობის შემთხვევისთვის, ფრანცისკეს ახალ ავტომობილს მოძრავი სახურავიც აქვს. ტრადიციის მიხედვით, კაბრიოლეტი თეთრია და სანომრე ნიშანს – SCV 1-ს ატარებს, რაც ვატიკანის თეოკრატიულ სახელმწიფოზე მიანიშნებს.

აუქციონზე სუფთა ტილო გაიყიდება

გერმანიაში, Ketterer-ის აუქციონზე, ამერიკელი მხატვრის, რობერტ რაიმანის სურათი გაიყიდება, სახელწოდებით – „გენერალი 52X52“. ის მილიონიდან 1.5 მილიონ დოლარამდე არის შეფასებული. კვადრატული ფორმის ნახატი 1970 წელს არის შესრულებული ემალის გამოყენებით, რომელიც ბამბის ქსოვილზეა დატანილი. ბერლინში გამართულ წინასწარ ჩვენებაზე ნახატი არც კი წარადგინეს, შესაძლო დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ამასთან, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ 50 წლის ხელოვნების ნიმუში „ძალიან კარგ მდგომარეობაშია“. რობერტ რაიმანი, რომელიც ჯაზის მუსიკოსია და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელი, არასდროს ცდილობს, საკუთარ ნამუშევრებს მითიური ან რამეს თხრობითი მნიშვნელობა მიანიჭოს. მისი ნახატები ხელოვნების ბაზარზე საკმაოდ ძვირად ფასობს, ზოგიერთი ნამუშევრის ფასი 20 მილიონ დოლარსაც აღწევს.

ერთჯერადი ჭიქებზე უარს ამბობენ

ნორვეგიის დედაქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ერთჯერადი ჭიქების გამოყენება აკრძალოს. ოსლოში, ყოველღიურად, 3 მილიონ ასეთ ჭიქას მოიხმარენ. მთავრობის გადაწყვეტილება ქალაქის დაბინძურების დონის შემცირებისა და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ერთჯერადი ჭიქები ყრია ყველგან და დაცურავს წყალშიც. „ჩვენ ვადგენთ გეგმას, რომ ამ სიტუაციას თავი დავაღწიოთ, გადავიდეთ მრავალჯერად ჭურჭელსა და შეფუთვაზე – ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ მიმართულებით“, – აცხადებენ ოსლოს მესვეურები. ასეთი სისტემა უკვე გამოიყენება დანიაში, ორჰუსში, სადაც ის კლიენტები, რომლებიც ავტომატში ყავის ყიდვისას მრავალჯერად ჭიქას ირჩევენ, დეპოზიტზე 5 კრონას იხდიან. თუკი ის ჭიქა კვლავ ავტომატში მოხვდება, დეპოზიტი მომხმარებლის ანგარიშზე ბრუნდება.

ფასტფუდი მეხსიერებასაც ვნებს

ამის თაობაზე გვაფრთხილებენ სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტიდან. მათი გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, ტრანსცხიმები წარმოიქმნება ცხელ მცენარეულ ზეთში საკვების შეწვის პროცესში, აგრეთვე, თხევადი ზეთების შესქელების (მაგალითად, მარგარინის) წარმოების დროს. ტრანსცხიმები გვხვდება კარტოფილი-„ფრისა“ და სწრაფი კვების სხვა პროდუქტებში, ყავის ხელოვნურ ნაღებში, მზა ნამცხვრებში, კრეკერებში, კარამელში, ნაყინსა და სხვა ბევრ გადამუშავებულ საკვებში. ტრანსცხიმები ზრდის გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს და მისი გამოყენება უკვე აკრძალულია, ან შეზღუდულია ბევრ ქვეყანაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამაც მოითხოვა 2023 წელს, მსოფლიოში მათი ლიკვიდაცია. იაპონელი სწავლულების კვლევა ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. შედეგად, მათ დაადგინეს, რომ ტრანსცხიმების ყველაზე მაღალი დონის მქონე ჯგუფის მონაწილეებს დემენციის 74%-ით უფრო მაღალი რისკი ჰქონდათ მათთან შედარებით, ვისი საკვებიც საერთოდ არ შეიცავდა ტრანსცხიმებს.

ტვინის გამაახალგაზრდავებელი პრეპარატი შექმნეს



ამერიკელმა სწავლულებმა, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ ექსპერიმენტალურ პრეპარატ ISRIB-ის სულ რამდენიმე დოზა მღრღნელებში გონებრივი უნარებისა და ასაკობრივი მეხიერების გაუარესებას „უკან აბრუნებს“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კვლევებისას, პრეპარატმა შეძლო ქალა-ტვინის ტრავმიდან რამდენიმე თვეში მეხსიერების ფუნქციის აღდგენა, დაუნის სინდრომის დროს კოგნიტური დარღვევების აღმოფხვრა, ხმაურის გამო სმენის დაკარგვის აღკვეთა. ასევე, პრეპარატს აქვს უნარი, შეებრძოლოს პროსტატის კიბოს რამდენიმე სახეობას და გააუმჯობესოს კონიტური ფუნქციები ჯანმრთელ თაგვებში. კვლევების მონაცემები აჩვენებს, რომ დაბერებული ტვინი სამუდამოდ არ კარგავს ძირითად კოგნიტურ უნარებს, – აცხადებენ სწავლულები.

სარეცხი მანქანა ადამიანისთვის

იაპონურმა კომპანიამ – Science Co., წარადგინა სარეცხი მანქანის პროტოტიპი, რომელიც ადამიანისთვის არის განკუთვნილი. მოწყობილობას, სახელწოდებით – Mirai Ningen Sentakuki, შეუძლია ადამიანი „გარეცხოს“ და გააშროს, სულ რაღაც 15 წუთში. სიახლე კაბინას წარმოადგენს, რომელიც წყლით ივსება, როცა მომხმარებელი შიგ ჩაჯდება. მასში ჩამონტაჟებული გადამცემები პულსსა და სხვა ბიოლოგიურ პარამეტრებს აღრიცხავენ და უზრუნველყოფენ კომფორტული ტემპერატურის მქონე წყლით. გარდა ამისა, მინაზე სხვადასხვა გამოსახულების პროექცირება ხდება, რათა ადამიანს მოდუნებაში დაეხმაროს. სარეცხი მანქანის ტესტირებას კომპანია მომავალს წელს, ოსაკას ტექნოლოგიურ გამოფენაზე გეგმავს. ვარაუდობენ, რომ ყოველდღიურად რვა ადამიანს შეეძლება 15-წუთიანი „რეცხვა-გაშრობის“ სერვისით ისარგებლოს. რა იქნება მისი ღირებულება, ჯერჯერობით, უცნობია.

ყურსასმენები აღარ დაგვჭირდება



ისრაელის ტექნოლოგიურმა კომპანიამ Noveto, მაგიდის დინამიკი წარადგინა, რომელიც ხმის ტრანსლაციას უშუალოდ მომხმარებელზე ახდენს, ყურსასმენების გამოყენების გარეშე. SoundBeamer 1.0 განსაზღვრავს ადამიანის მდებარეობას და ადგენს მისი ყურის მიმართულებებს, შემდეგ კი მომხმარებელს ხმოვან ტალღებს უგზავნის და მისი თავის გარშემო პერსონალურ „ხმოვან ბუშტს“ ქმნის. ვინც უკვე გამოსცადა მოწყობილობა, ამბობს, რომ ხმების ამგვარი მოსმენა უჩვეულო შეგრძნებებს ტოვებს. თითქოს, მუსიკა ისმის ყურების შიგნით, ასევე მათ წინ, უკან და ზემოთ. ახალი ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, მუსიკას და სხვა ნებისმიერ აუდიოჩანაწერს ყურსასმენის გარეშე უსმინოთ და გარშემო ამით არავინ შეაწუხოთ.

ჩინური წამება – „სმაილიკების“ გადაწერა



ჩინეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მასწავლებელმა საინტერესო სასჯელი მოიფიქრა ლექციაზე დაგვიანებული სტუდენტებისთვის. ის აიძულებს მათ, ხელით გადაწერონ 1000 სხვადასხვა ემოციის სიმბოლო ანუ „სმაილიკები“. ქალაქ ჩენდუს უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის წესებით, ყოველი სტუდენტი, რომელიც მეცადინეობაზე აგვიანებს, იღებს A4-ფორმატის სუფთა ფურცელს, ასევე, სამახსოვროს – 1000 სხვადასხვა „სმაილიკის“ გამოსახულებით. სტუდენტმა ის ზუსტად ისე უნდა გადაწეროს, როგორც სამახსოვროშია ნაჩვენები, ყოველგვარი ცვლილებისა და შეცდომების გარეშე. ლექტორი დარწმუნებულია, რომ მისი ეს „ძალიან დახვეწილი და ეფექტური მეთოდი“ სტუდენტებს აიძულებს კონცენტრირებას ყოველი შტრიხის დაწერაზე. შედეგად, სასჯელს სიკეთე მოაქვს, რადგან ახალგაზრდებს უწევთ, სერიოზულად დაძაბონ ტვინი და ისე შეასრულონ დავალება. ასეთი სახის სასჯელი ხშირად გამოიყენება ჩინეთის სასწავლო დაწესებულებებში, მაგრამ „სმაილიკების“ გადაწერა პირველი შემთხვევაა. უფრო ხშირად, დასჯილებს ჩინური ანბანის ყველაზე რთული იეროგლიფის („ბიანის“) 1000-ჯერ დაწერას ავალებენ ხოლმე, რომელიც 57 შტრიხისგან შედგება.

სასმელს „ჭკვიანი“ ბოთლი ამზადებს

აშშ-ში, სწავლულებმა მაღალტექნოლოგიური ბოთლი LifeFuels წარადგინეს, რომელიც მის მფლობელს არა მხოლოდ კარნახობს, როდის არის დალვის დრო, არამედ, თავად უმზადებს მას გემრიელ და სასარგებლო სასმელს. მოწყობილობა წყალში ამატებს წინასწარ მომზადებულ და გაზომილ რაოდენობას კონცენტრატებისა. საამისოდ, ბოთლის სახურავზე არის ხუთი სპეციალური ადგილი სხვადასხვა დანამატისთვის. „ბლუთუსით“ სმარტფონთან კავშირი შესაძლებლობას იძლევა გაიგოთ, რამდენი წყალი და როგორი (ქოქოსის გემოთი თუ სხვაგვარი) დაილია ერთი დღის განმავლობაში. ბოთლს მუშაობა თავადაც შეუძლია, სმარტფონის გარეშე. სამართავად მას დისპლეიც აქვს. „ჭკვიანი“ ბოთლის დამუხტვა მის მფლობელს რამდენიმე დღეში ერთხელ მიუწევს, იმისდა მიხედვით, რა დატვირთვით იმუშავებს მოწყობილობა. პროექტის ავტორებმა უკვე დადეს ხელშეკრულება სხვადასხვა სასმელის 40-მდე მწარმოებელთან. როდის გამოვა „ჭკვიანი“ ბოთლი გაყიდვაში, ჯერჯერობით, უცნობია.

ავტოდრომი კორპუსის სახურავზე

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინში, ავტოსკოლა დახურეს, რომელიც ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის სახურავზე იყო განთავსებული. ავტოსკოლა „კანციაომ“ სავარჯიში მოედანი შვიდსართულიანი კორპუსის თავზე მოაწყო. ავტოდრომი ყველა წესის დაცვით იყო დახაზული: გასაჩერებელი ადგილები, მოსახვევები, „ზმეიკა“ და სხვა საჭირო ნახაზი, მანქანის მართვის უნარების განვითარებისთვის. სკოლის მესვეურები დარწმუნებლნი იყვნენ ავტოდრომის უსაფრთხოებაში – სახურავი შემოღობილი გვაქვსო. თუმცა, ტრანსპორტის სამმართველოს თანამშრომლები ასეთმა უსაფრთხოებამ არ დააკმაყოფილა და ავტოსკოლა დახურეს. სოციალურ ქსელში ამბის გახმაურების შემდეგ, მომხმარებლები წერდნენ – ამ ავტოსკოლაში მანქანის ტარებას თუ ვერა, ფრენას მაინც ისწავლითო.

ჯაკუზი გლინტვეინით

ბრიტანული სასტუმრო Shrigley Hall, საახალწლო დღესასწაულების წინ, კლიენტებს ახალ სერვისს სთავაზობს, ზამთრის ყველაზე პოპულარული სასმელით – სპა-პროცედურა „მსოფლიოში პირველი“ გლინტვეინის ჯაკუზით. ჰიდრომასაჟის აბაზანაში 1000 ლიტრამდე (560 ბოთლზე მეტი) ღვინოს ასხამენ, რომელიც ისე გადამუშავდება, რომ PH-ის ნეიტრალური დონე უზრუნველჰყოს. სასმელი კომფორტულ, 37 გრადუსამდე ცხელდება, რის წყალობითაც ფორები იხსნება და სხეულიდან ტოქსინები გამოიდევნება, კანი კი გლინტვეინში არსებულ სასარგებლო ნაერთებს შთანთქავს. სპეციალისტების თქმით, წითელ ღვინოში არსებული ტანინები ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, ებრძვის ვირუსებს და სოკოს, აუმჯობესებს გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას. ასეთი სადღესასწაულო სპა-პროცედურის ფასი, ჭიქა გლინტვეინთან ერთად, 60 გირვანქა სტერლინგიდან იწყება.

მხნეობისთვის ფორთოხლის წვენი მიირთვით

ბრიტანელი სწავლულები, რედინგის უნივერსიტეტიდან, გვირჩევენ, დაღლილობის დასაძლევად და გასამხნევებლად, ყავის ნაცვლად, ფორთოხლის წვენი დავლიოთ. ექსპერიმენტებისას, რომელშიც 24 მოხალისე მონაწილეობდა, მოხალისეებს ერთ დღეს – ერთ ჭიქა ნამდვილ ხილის წვენს ასმევდნენ, მეორე დღეს კი – ტკბილ სასმელს, რომელიც ფერით და გემოთი ჰგვდა ფორთოხლისას. დადგინდა, რომ ექსპერიმენტის მონაწილეები უკეთ ართმევდნენ თავს ტესტებს რეაქციასა და ყურადღებაზე, როცა რეალურ ფორთოხლის წვენს მიირთმევდნენ. ამასთან, ისინი თავს მხნედ გრძნობდნენ სასმელის მიღებიდან 6 საათის შემდეგაც კი. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს ეფექტი წვენში არსებულ ფლავონოიდებს უკავშირდება, რომელიც აუმჯობესებს ტვინში სისხლის მიმოქცევას და ამსუბუქებს ინფორმაციის გაცვლას ტვინის უჯრედებს შორის.

„ალადინის ლამფა“ აყიდინეს

ინდოეთში, სამართალდამცავებმა ორი თაღლითი დააკავეს, რომელთაც გულუბრყვილო მყიდველს „ალადინის ლამფა“ მიჰყიდეს და იქიდან ამოსული „ჯინიც“ დაანახეს. დამნაშავეებს პოლიციაში უტარ-პრადეშის მკვიდრმა ექიმმა უჩივლა. მან განაცხადა, რომ ლამფა 90 ათას დოლარად იყიდა, რადგან დაიჯერა, რომ ის ჯადოსნური იყო. დაზარალებულის თქმით, ერთ-ერთმა თაღლითმა, რომელმაც თავი ოკულტისტად გააცნო, „ჯინი“ აჩვენა, თუმცა მისი და ლამფის ხელის ხლება აუკრძალა. მერე კი ამ „მაგიური“ ნივთის ყიდვა შესთავაზა. გამდიდრების მსურველმა ექიმმაც დაიჯერა ლამფის ჯადოსნურობა და თანხა გადაიხადა, მხოლოდ შინ მისულმა აღმოაჩინა, რომ მწარედ მოატყუეს. პოლიციის განცხადებით, თაღლითებმა სხვა ოჯახებიც მოატყუეს.

საოფისე დაავადებები გამოავლინეს

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა, დიდი ხანია, დაიწყეს საუბარი იმ დაავადებებზე, რომლებიც ოფისებში მომუშავე ადამიანებს ემართებათ არა მხოლოდ შენობაში არსებული მიკროკლიმატის, მისი დაბინძურებისა და ტემპერატურული რეჟიმის გამო, არამედ, თანამშრომლების მუდმივი სტრესის, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ნაკლებად მოძრაობის გამოც. ამასთან, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ დაავადებებს ახალგაზრდებიც ვერ დაემალებიან. მედიკოსებმა ყველაზე გავრცელებული საოფისე დაავადებები გამოავლინეს. ერთ-ერთი მათგანია ოსტეოქონდროზი – დღესდღეობით, მსოფლიოში, დაახლოებით, 80 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება. მისი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ის ანგრევს ხერხემალს, იწვევს დისკომფორტს, კისრისა და ზურგის ტკივილს. ეს დაავადება საკმაოდ გაახალგაზრდავდა და განსაკუთრებით მათ აწუხებთ, რომლებსაც ზედმეტი წონა და მჯდომარე სამუშაო აქვთ. კიდევ ერთი „საოფისე სენი“ მშრალი თვალის სინდრომია. მან ბოლო დროს, განსაკუთრებით, სუსტი სქესის წარმომადგენლებში მოიკიდა ფეხი. მისი მთავარი მიზეზიკომპიუტერთან მომუშავე დაძაბული თვალებია. მის წარმოშობას ხელს უწყობს შენობაში არსებული მშრალი ჰაერიც. ქრონიკული დაღლილობის სინდრომს „მეგაპოლისების დაავადებასაც“ უწოდებენ. ის გამოწვეულია გადაღლილობით, დაძაბული ემოციური ფონით, სტრესითა და სხვა ფაქტორებით.

ქალაქში უპილოტი ავტობუსები დადიან

კანადის დედაქალაქში, სატესტო რეჟიმში გაუშვეს უპილოტო ავტობუსები. ცდები თვის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტი კომპანია EasyMile-მ შეიმუშავა. მარშრუტის სიგრძე, რომელიც სამთავრობო კვარტალზე გადის, 1.5 კილომეტრს შეადგენს. ავტობუსებს გზად 4 გაჩერება აქვთ. ცდების მიზანია, აჩვენონ, როგორ მუშაობს ავტობუსი მძღოლის გარეშე ნამდვილ, საგზაო პირობებში, გააანალიზონ მათი გამოყენების ეფექტურობა და შშმ პირებისთვის მათი ხელმისაწვდომობა. კორონავირუსის ეპიდემიის გამო, უპილოტო ავტობუსის მგზავრები, ჯერჯერობით, მხოლოდ პროექტის ავტორები და მძღოლები არიან, ყოველი შემთხვევისთვის.

მეცნიერები გვეტყვიან, რამდენ ხანს ვიცოცხლებთ

სპეციალისტებმა, დიდი ბრიტანეთიდან, შეძლეს ისეთი მოწობილობის შექმნა, რომელიც ადამიანის დარჩენილი ცხოვრების დროს განსაზღვრავს. გარეგნულად ის მაჯის საათს მოგაგონებთ. გამოგონება კი ლაზერულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ამ შემთხვევაში, ხდება ადამიანის ორგანიზმის ენდოთელიალური უჯრედების მდგომარეობის მონიტორინგი კანის ზედაპირის მეშვეობით. ამ ტიპის უჯრედები მონაწილეობენ სისხლძარღვთა სისტემის ფორმირებაში. მოწყობილობა საშუალებას იძლევა, ამ უჯრედების ნაკადი შეცვალოს და მიღებული მონაცემების ანალიზით, ადამიანის დაბერების პროცესის სიჩქარე გამოთვალოს. მიღებული მაჩვენებლები კი ასბალიანი შკალის მიხედვით ფასდება. ასი ბალით ფასდება ახალგაზრდა, ნორმალურად ფუნქციონირებადი ორგანიზმი, რომელიც სამედიცინო ჩარევას არ საჭიროებს. სპეციალისტები ნისლიანი ალბიონიდან აღნიშნავენ, რომ დაახლოებით სამ წელიწადში მოწყობილობის გამოყენება, პრაქტიკული მიზნით, შესაძლებელი იქნება სამედიცინო დაწესებულებებში.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.